კვალი

XI. ყოველკვირეული გაზეთი. XI.

№ 10 კვირა, 2 მარტი 1903 წლისა. № 10

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში—საპიოტრის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: პეტერბურგი (დეპეშა).—მთავრობის გამოცხ.—რუსეთის უწყებებიდან.—ბ. ლოლუა და მისი ლოღიკა, დ. თოფურიძისა.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენც.—რუსეთის ცხოვ.—ქალები, მოთ. ჩეხოვისა, თარ. სილ. თავართქილაძისა.—სურათი, ლექ. დ. თომაშვილისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—შავი ქვის მრეწვ. კრება ქუთ., გარეშე მეთვალყურის.—ქუთ. სამეურ. საზოგ. საქმეები, ისის.—წერილი რედ. მიმართ.—განცხადება.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა **1903** წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ—8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მან. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით—2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბაზათ.

ხელისმომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში—წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე, პირველი კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან, და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში;—ბათომში სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში— კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირალაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში; ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან; საბუნჩაში—დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

პეტერბურგი

(დეპეშა).

წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვ. და სხვ. ვუცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომს: ღვთის განგების ნებით ალვედით წინაპრთა ტახტზე და სამღვთო აღთქმა დავდეთ წინაშე უზენაესისა და ჩვენის სვინიდისისა. წმინდათ დავიცვათ ძველნი საფუძველნი რუსეთის სახელმწიფოსი და სიცოცხლე ჩვენი შევალიოთ საყვარელის სამშობლოს მსახურებას. ჩვენთა ქვეშევრდომთათვის დაუძინებელმა ზრუნვამ დაგვიყენა თვალწინ გზა განსახორციელებლათ საერო კეთილდღეობისა. ეგ არის, გზა, რომელიც გვიჩვენებს მარად-სახსენებელ საქმეთა თვითმპყრობელ ჩვენთა წინამოადგილეთა და უპირველეს ყოვლისა დაუვიწყარი ჩვენის მშობლისა. ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა აუარებელითა გზათა შინა თვისთა ინება შეწყვეტილიყო უდროვოთ გარდაცვალება მეფური ლვაწლი საყვარელის ჩვენის მშობლისა და ჩვენთვის დაეკისრებინა სამღვთო ვალი განგვეგრძო მის მიერ დაწყებული საქმე რუსეთში წესიერებისა და სიმართლის განმტკიცებისა საერო ცხოვრების ახლად აღმოცენებულ მოთხოვნილებათა შესაბამათ. ჩვენდა დიდათ სამწუხაროთ, ამბოხება და არეულობა, განთესილი თანამედროვე სახელმწიფო წესწყობილების საწინააღმდეგო ზრახვითა იმ აზრთაგან გატაცებით, რომელნიც უცხოა რუსეთის ცხოვრებისათვის, ხელს უშლის შეერთებულ მუშაკობას საერო კეთილდღეობის დასამყარებლათ. ეს ამბოხი ამღელვარებს ადამიანთა გონებას, გულს უცრუებს ხალხს ნაყოფიერ მუშაკობაზე და არაიშვიათათ ლუპავს ახალგაზდათა ძალ-ღონეს, ჩვენთვის ძვირფასს და მათ ოჯახთა და სამშობლოსათვის საჭიროს. ჩვენის ნების ყველა ამსრულებელთ, როგორც მაღალს, ისე დაბალს ვუბრძანებთ, მტკიცეთ ეწინააღმდეგონ საერო ცხოვრების წესიერ მიმდინარეობის ყოველს ხელის შემშლელს. იმედი გვაქვს, რომ ყველანი საერთოთ და თითეული ცალკე პატიოსნათ შეასრულებს თვის მოვალეობას. ჩვენც ჩვენი მხრივ შეუდრეკელი სიმტკიცით და გაბედულობით ალვაჭურვებით, რათა დაუყოვნებლივ დავაკმაყოფილოთ უკვე მომწიფებული სახელმწიფო საჭიროებანი. იმიტომ საკეთილოთ მივიჩნიეთ: განვამტკიცოთ საქმე სათანადო მთავრობის მიერ სარწმუნოების შეწყნარებისა, როგორც აღნიშნულია რუსეთის იმპერიის ძირითად კანონებში. ამ კანონებისამებრ მოწიწებით უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჩნეულ იქმნას მართლმადიდებელი ეკკლესია პირველ და უმთავრეს ეკკლესიათ, გარნა ამასთანავე ნება ეძლევა ყველა ჩვენს ქვეშევრდომს სხვა სარწმუნოების და აღსარებისას თავისუფლათ სწამდეთ თვისი სარწმენი და თავისუფლათ აღასრულებდნენ ღვთის მსახურებას თვისის სარწმუნოების წესისაებრ; საკეთილოდვე მივიჩნიეთ, განვაგრძოთ მხნეთ მიღება იმისთანა ღონისძიებათა, რომელთა წყალობითაც შესაძლო იყოს სოფლათ მართლმადიდებელ სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის განკარგება, რათა მით უფრო გაძლიერდეს ღვთის მსახურთა მიერ ნაყოფიერი მონაწილეობის მიღება სამწყსოს სასულიერო და საზოგადო ცხოვრებაში; საკეთილოდვე მივიჩნიეთ, იმ სურვილთა აღსასრულებლათ, რომელნიც უკვე თვალწინ დავიყენეთ სასოფლო მეურნეობის საქმეში, მივმართოთ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა, განსაკუთრებით სათავად-აზნაურო და საგლეხო საადგილ-მამულო ბანკების მოქმედებას რუსეთის სასოფლო ცხოვრების უმთავრეს ბურჯთა უაღრესათ განმტკიცებისა და კეთილდღეობის გზაზე დაყენებისათვის. ეგ ბურჯებია სოფლათ მცხოვრებთ თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა; საკეთილოდვე მივიჩნიეთ, ჩვენ მიერ განზრახული შრომა სასოფლო კანონმდებლობის გადასინჯვისა, როცა ეგ საქმე პირველათ განხილულ იქმნება ჩვენ მიერ ნაჩვენები წესით, დავავალოთ ადგილობრივ საგუბერნიო ბჭობათ, რათა დანარჩენი წვრილმანი მათ შეიმუშაონ და შეუფარდონ კანონი ადგილობრივ ვითარებას, იმათი მახლობელი მონაწილეობით, ვინც ღირსეულ მოღვაწეთ ითვლება და საზოგადოების ნდობით არის მოსილი; საკეთილოთ მივიჩნიეთ, რომ ამ შრომას საფუძველათ დაედვას ხელ-უხლებლობა სათემო წეს-წყობილებისა საგლეხო მიწათმფლობელობაში,—თან ისეთი ღონისძიება უნდა იქნას მონახული, რომ თითოეულ გლეხს შეეძლოს განთავისუფლდეს; უნდა მიღებული იქნას დაუყოვნებლივ ღონისძიება, რათა მოისპოს გლეხთათვის შემაწუხებელი საურთიერთო თავდებობა; უნდა გადაკეთდეს საგუბერნიო და სამაზრო მართველობანი, რათა განკარგებულ იქნას სხვა-და-სხვა ღონის ძიება პირდაპირის დაკმაყოფილებისათვის საერო-სათემო ცხოვრების მრავალგვარ საჭიროებათა ადგილობრივ კაცთა შრომით, ისეთ კაცთა, რომელთაც ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ძლიერი და კანონიერი მთავრობა, ჩვენ წინაშე სასტიკათ პასუხის მგებელი; უნდა სასურველათ იქმნეს, ცნობილი სოფლის ცხოვრების შემდეგში უფრო განკარგებისა და მოწესრიგებისათვის დაახლოვება საზოგადოებრივ მართველობისა და მოღვაწეობა საეკკლესიო სამზრუნველოებისა იქ, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება. მოვიწვევთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ ხელი მოგვიმართონ და დაგვეხმარონ დასანერგათ ოჯახსა, სკოლასა და საზოგადო ცხოვრებაში ზნეობისა, რომელიც ასე საჭიროა, რათა თვითმპყრობელის ხელმწიფების ფრთეთა ქვეშე განვითარდეს საერთო კეთილდღეობა და რწმენა თითოეულისა, რომ მისი უფლება მტკიცეთ და შეურყევლათ დაცული იქნება. ამიტომ ვუბძანებთ ჩვენს მინისტრებს და ცალკე მხარეთა მთავარ-მართებელთ, ვის უწყებასაც ეს შეეხება, წარმოგვიდგინონ ჩვენ მოსაზრებანი იმ წესის შესახებ, თუ რა წესით უფრო განხორციელდება წინასწარ განმარტებულნი ზრახვანი ჩვენნი. უფალი ყოვლად-მპყრობელი გადმოავლენსმცა კურთხევასა სამეფოსა შრომასა ჩვენსა ზედა და შეგვეწევამცა ჩვენ, რათა სამშობლოს ყველა ერთგულ ძეთა შეერთებით აღვასრულოთ ფიქრი ჩვენი სახელმწიფო წესიერების გაუმჯობესობისა, დამყარებით ადგილობრივ ცხოვრებაში მტკიცე წეს-წყობილებისა, აუცილებლათ საჭიროსი ჩვენის დიდის სახელმწიფოს წარმატებისათვის.—ს.-პეტერბურგი, 26 დღესა ფებერვლისასა, წელსა დაბადებიდგან ქრისტესა ათას ცხრაას სამასსა, ხოლო მეფობისა ჩვენისასა—მეცხრესა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი“

ოფიციალური განცხადება.

გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური განცხადება:

კვირას, 23 თებერვალს, დილის ათს საათიდან, გოლოვინის პროსპექტსა, სამხედრო ტაძრთან, მახლობელ ქუჩებსა და მოედნებზედ აუარებელმა ხალხმა დაიწყო თავის მოყრა. მომეტებული ნაწილი იყვენ ფაბრიკებისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშები, ბევრს მათგანს ხელში ეჭირა შვინდის მსხვილი და მძიმე ჯოხები.

პოლიციის გაძლიერებული რაზმი ნებას არ აძლევდა შეკრებისას ხალხს, მუშებს, რომელნიც სცდილობდენ დიდ ჯგუფათ შეკრებილიყვენ და ამიტომ მათ შეჯგუფება ვერ მოახერხეს უმთავრეს ქუჩაზე. მაინც 60—70 კაცმა მოინდომეს უთუოთ მოეხდინათ არეულობა; მათ დაინახეს ხალხი, რომელიც მისდევდა მიცვალებულ მემამულის ფალავანდიშვილის გვამს. მიცვალებული პუშკინის ქუჩიდან სომხეთა ბაზრისაკენ წაასვენეს; შეგროვილმა 60—70 კაცმა სწრაფათ გაიარეს ტერ-ასატუროვის ქარვასლა და შეუერთდენ ხალხს, თან პორთეს „ურას“ ძახილი. ერთმა მანიფესტანტმა ოთხჯერ გაისროლა რევოლვერი. ორი აფიცერი, რომელნიც მიცვალებულს მისდევდნენ, დაჭრილ იქნენ რამდენგანმე, უმთავრესათ თავში, ერთს მათგანს ტანი გაუფხაჭნა ტყვიამ, რომელიც პალტოში გაჩერდა; მახლობელ საავათმყოფოში შეუხვიეს მათ ჭრილობანი და ახლა იმყოფებიან სამხედრო საავათმყოფოში. სასიკეთოთ, აფიცერთა ჭრილობანი არ არის საშიშო. ადგილობრივ ჩასაფრებულმა პოლიციამ, ყაზახთა რაზმის დახმარებით, მალე გაჰფანტა მანიფესტანტები. ის, რომელიც რევოლვერს ისროდა, მიუხედავათ იმისა, რომ სხვები სცდილობდენ მის განთავისუფლებას, დაჭერილ იქნა სხვებთან ერთათ, რომელთაც არეულობა მოახდინეს.

პოლიციის მოხელეთაგან და მანიფესტანტთაგან მძიმეთ არავინ არ დაშავებულა.

თფილისის გუბერნატორის განკარგულება.

1903 წელს 25 თებერვალს თფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა, განიხილა რა გამოძიება 23 თებერვალს მომხდარ უწესოების შესახებ. დაადგინა: ქუჩაზე შეკრებისათვის საზოგადო მშვიდობიანობის დასარღვევათ და პოლიციის წინადადების შეუსრულებლობისათვის დაპატიმრებულ იქნენ: ა) სამის თვით: 1) დავით ჭუტლაშვილი—სიღნაღის მაზრის ს. ბოდბეს მცხოვრები, 2) პავლე ბერიძე—თფილისის მდაბიო მოქალაქე, 3) ალექსანდრე სანაძე—ქუთაისის მაზრის, დ. ხონის მცხოვრები, 4) ივანე ბუდრისი—კოვენის გუბერნიის მცხოვრები, 5) სიმონ გელაშვილი—შორაპნის მაზრის მცხოვრები, 6) ვარდენ გვენცაძე—რაჭის მაზრის ს. გვერდიას მცხოვრები—7) ვლადიმერ ბახტაძე—დიდი ჯიხაიშის მცხოვრები, 8) მარტიროს მირაქოვი,—ბორჩალოს მაზრის, ს. შულავერის მცხოვრები.

ბ) ექვსი კვირით: 9) რაჟდენ თევზაძე—ოზურგეთის მაზრის მცხოვრები, 10) გეურქ ოსიფოვი—თფილისის მდაბიო მოქალაქე; 11) ეფიმ ჩუუური - დუშეთის მაზრის მცხოვრები, 12)

გრიგოლ კოლხიდოვი—დუშეთის მაზრის მცხოვრები, 13) ივანე ტომასიძე—თფილისის მაზრის მცხოვრები, 14) გიორგი თევდორაშვილი—თფილისის მაზრის ს. ხაშმის მცხოვრები, 15) დეონტი ქორიძე—ქუთაისის მაზრის ს. საჯავახოს მცხოვრები, 16) კონსტანტინე შაგინოვი—თფილისის მდაბიო მოქალაქე.

გ) სამი კვირით: 17) მინა კალაძე—ქუთაისის მაზრის, ს. ეწერის მცხოვრები, 18) პეტრე ჯინჯავაძე—თფილისი მდაბიო მოქალაქე, 19) ვასილი ათაბეგოვი—თფილისის მდაბიო მოქალაქე, 20) ნესტორ ჯაბაშვილი—თფილისის მაზრის, ს. ზალდის მცხოვრები, 21) ვასილი ხუციშვილი—რაჭის მაზრის, ს. ამბროლაურის მცხოვრები.

დ) ერთი თვით: 22) ოლღა გაბუნია—ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები.

ე) ერთი კვირით: 23) ნინა ახვლედიანი—ქუთაისის მაზრის მცხოვრები, 24) მართა გოგიტაშვილი - გორის მაზრის, ს. გომის მცხოვრები.

ეს დადგენილება ძალაში შედის 23 თებერვალის 12 საათიდან.

„რუსეთის უწყებაში" გრაფ პავლე ტოლსტოის წერილია დაბეჭდილი შემდეგის სათაურით: „ხმა ერთის გუბერნიის თავად-აზნაურთა კომიტეტისა 1858—1859 წ.".

გრაფს მოყავს ტვერის თავად-აზნაურთა დეპუტატის უნკოვსკის აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ისე, რომ არც ერთი საზოგადოების ნაწილი არ იჩაგრებოდეს მეორისაგან. აი, სხვათა შორის, რა აზრის ყოფილა 45 წლის წინეთ, ე. ი. იმ დროს როდესაც ბატონ-ყმობა ჯერ ისევ გამეფებული იყო, გრაფ ტოლსტოის სიტყვით, ბ-ნი უნკოვსკი:*)

„ბატონყმობას ღრმათ აქვს გამდგარი ფესვი ცხოვრების ყველა სფერაში. მის გავლენას არ აცდა აგრეთვე არც სხვადასხვა დაწესებულების მოსამსახურეები. ბატონყმობის ზერელე გაუქმება საქმეს ვერ შველის; ამ შემთხვევაში ისევ ძველებურათ რჩება ყველაფერი: სახელმწიფო ისევ გაყოფილი იქნება ორ ერთი მეორის მოწინაამდეგე ბანაკათ. ერთი მხრით, ყოველგვარ ძალმომრეობით და უფლებით აღჭურვილი მოხელენი, მეორე მხრით კი ყოველ გვარ უფლებას და ხმას მოკლებული დიდი უმრავლესობა მშრომელი ხალხისა. საქმის ასეთი მდგომარეობა ვერაფერი თავდები იქნება საზოგადოების ბედნიერებისათვის, ის წარმოშობს მხოლოდ მშიშარ და მხდალ მონებს და არა ნამდვილს, ღირსეულ მოქალაქეთ. ასეთ პირობებში ჩაყენებული ადამიანი ემორჩილება მხოლოთ აუცილებლობას. ის ძალა-უნებურათ ასრულებს თავის მოვალეობას; ძალას სულ სხვაგან თავის გარეშე ხედავს, ამიტომ ხშირათ კანონს ცილდება, მთავრობის განკარგულებას გვერდს უხვევს. სადაც ადამიანი მოწვეულია საზოგადოების ინტერესების დასაცველათ, სადაც მას შეუგნია თავის მოვალეობა და თავის დანიშნულება,—ამ შემთხვევაში ისიც ცდილობს მთავრობის განკარგულების სისრულეში მოყვანას ხელი შეუწყოს.

ავიღოთ ორი მაგალითი: ერთი,—როცა ქვეყნის მართვა-გამგეობა თითონ ხალხზე, საზოგადოებაზეა დამოკიდებული, და მეორე,—როცა ქვეყნის სახელმწიფოს ბედიღბალი თვითმპყრობელობაზე კიდია. პირველ შემთხვევაში კანონის ფეხქვეშ გამთელელი და დამრღვეველი პასუხს აგებს თითონ საზოგადოების წინაშე. მეორე შემთხვევაში კანონის დამრღვეველი საზოგადოების მტერი როდია, არამედ ის მტერია მთავრობის. საზოგადოება მის შესახებ „საწყალო, საცოდავოო", იძახის. „ეს ჩემი საქმე არ არისო"—ამბობს კერძო კაცი, რომელიც ხედავს კანონის დამრღვეველს. „რისთვის უნდა დაიღუპოს [illegible]"—ამბობს მოსამსახურე, როცა ვინმე თანამდებობის აღსრულების დროს უკანონობა ჩაიდინა. ამ გვარი თავაზიანობა, ამ გვარი პატიება ბოლოს აპატიათ, გულგრილობათ იქცევა; საზოგადოება ივიწყებს თავის მოვალეობას.

ვითომც თვითმართველობა დამღუპველი და საშიში იყოს,—უსაფუძვლოა. პირიქით, თვითმართველობა თავდებია წესიერებისა და მშვიდობიანობისა. იმ ადამიანს, რომელიც მოღვაწეობს საზოგადოების სასარგებლოთ, თანდათან უძლიერდება სურვილი საზოგადოებრივ ასპარეზზე იმოღვაწეოს იმიტომ, რომ თითონ მისი კერძო ინტერესებიც ამას მოითხოვს რადგან კერძო კაცის ცხოვრება საზოგადოებრივ ინტერესთანაა შეკავშირებული. სადაც ხალხის საკეთილდღეოთ ზრუნვენ კერძო პირები, იქ ყოველთვის ხალხის გაჭირვება ნაკლებია, გარდა ამისა, თემის დამოუკიდებელი მართებლობა,—ეს ერთად-ერთი სკოლაა სახელმწიფო მოღვაწეთა მოსამზადებლათ. ნიჭსა და გონებას ფართო ასპარეზი ეძლევა ფრთა გაშალოს საზოგადოების პირდაპირ ზედამხედველობის ქვეშ. მთავრობას საშუალება ეძლევა სხვადასხვა თანამდებობა გამოცდილ მოღვაწეთ მიანდოს.

იერარქიული ბიუროკრატიზმის დროს კი ადამიანი თავის ნებით მოქმედობს. ის თავისთავათ პასუხის მგებელი არაა. ადამიანი ამ შემთხვევაში ასრულებს მხოლოდ უმაღლეს მთავრობის მოწერილობებს და განკარგულებებს; ის მექანიკური აღმასრულებელია, სხვა არაფერი. აქ უმაღლეს თანამდებობას აძლევენ არა იმას, ვინც ღირსია, არამედ მას, ვინც მოთმინებაში გაატარა საუკეთესო დრო. განა შეიძლება ასეთი ადამიანი ხალხის ინტერესების დამცველი გახდეს?

რომ დამოუკიდებელ მართველობამ მეტი სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას, საჭიროა მოისპოს საზოგადოვბის ჯგუფებათ და წოდებებათ დაყოფა. ისტორია გვეუბნება, რომ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება განსაზღვრულ კანონებს ემორჩილება, გამონაკლს შეადგენს. უსაფუძვლოა იმის ლაპარაკი, რომ ვითომც რუსეთისთვის მავნებელი იყოს იმ გზაზე სიარული, რომლითაც სხვა ხალხი და სხვა სახელმწიფონი დადიან. დაბალ საფეხურზე მდგარი ხალხი თანდათან იძენს იმგვარ უფლებათ, რომელნიც წინეთ პრივილეგია იყო ბრწყინვალე წოდებისა. ხალხის წოდებრივათ გათანასწორება, ე. ი. წოდებრივი უპირატესობის გაუქმება ისტორიული კანონია. ამიტომ კომიტეტმა საჭიროთ სცნო გაყვეს ამ ისტორიულს კანონს და მის თანახმათ იმოქმედოს, კომიტეტი წინაალმდეგია, ხალხის წარმომადგენელები გამორიცხოს გამგეობიდან: ეს დათესვა იქნებოდა რევოლიუციონურის იდეისა თითონ საზოგადოებაში, გლეხის მონაწილეობის მიღება გამგეობაში ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობას. როცა მასართმევ, ან არ აძლევ ამ უფლებას, ის მეტათ საშიშია: ბოლოს მაინც შეიგნებს, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობაში მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა და ეცდება კიდეც მოიპოვოს ეს უფლება, რაც უნდა ძვირათ დაუჯდეს იგი. საფრანგეთის ისტორია გასაკვირ მაგალითს იძლევა ამისას.

თვითმართველობის და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება—აი, რა არის წესიერებისა და მშვიდობიანობის მოძღვარი. მასწავლებელი. თუ კაცმა არ იცის, რა ხდება მის გარშემო, რისთვის ხდება და როგორ, თუ მას არ შეუძლია თაიცვას თავის და იმ წრის ინტერესები, რომელშიაც ტრიალებს,—ის ამ შემთხვევაში გულგრილათ უყურებს ყოველ გვარს ცვლილებას და წინმსვლელობას.

---

*) უნკოვსკი ახასიათებს წინანდელს დროს, როდესაც ჯერ არც ადმინისტრატიული რეფორმები იყო შემოღებული.

კომიტეტმა საჭიროთ სცნო მოსამსახურენი და მოხელენი თავიანთ დანაშაულისათვის პასუხის მგებელნი იყონ სასამართლოს წინაშე. სასამართლო იხილავს საქმეებს, დანაშაულობებს მოწმეთა შემწეობით. არავითარი საბუთი არაა იმისა, რომ თანამდებობის კაცი გამორიცხულ იყოს ამ საერთო დადგენილებისაგან. მთავრობის კანტროლს აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ფორმალური წესები ყოველთვის ფარავს ბოროტმოქმედებას. ცილისწამებისაგან დაგვიცავით—ამბობს ბევრი. მაგრამ ცილისწამება ხდება იქ, სადაც საქმე ჩუმად, ფუჩუნით კეთდება; ცილისწამება მოისპობა მაშინ, როცა შეაშუქებს ყველგან გამოქვეყნებისა და გამომჟღავნების სინათლე. ამგვარი სამართლისა ეშინია მხოლოდ დამნაშავეს და შორს გაურბის... უდანაშაულო მხოლოდ აქ ხედავს ერთად-ერთ ხსნას ცრუ და ყალბ ბრალდებისაგან.

ყველაფრის გამომჟღავნება და გამოქვეყნება, რა მშვენიერი, რა დიდებული სიტყვებია! გონებისა და ჭეშმარიტების სინათლე! რა კარგია!

მთელი აღმასრულებელი უფლება მოხელე ბიუროკრატების ხელშია, რომლებსაც ხალხის ინტერესი ფეხებზე კიდიათ.

მთელი ხალხის ბედ-იღბალი მთავრობის აპეკუნობის ხელშია. არც ერთ წვრილმან საქმეს საზოგადოებას არ ანდობენ; ყველაფერი უმაღლესი მთავრობის ბრძანებითა და განკარგულებით კეთდება.

ხალხს იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ შეერთებული ძალით მდინარეზე ხიდი გასდოს, არა აქვს ნება წერა-კითხვის სწავლებისთვის მასწავლებელი მოიწვიოს; ყველა ამაზე მთავრობის ნება-რთვაა საჭირო. ცენტრალიზაცია უმაღლეს საფეხურამდეა მიღწეული. გარდა ამისა, აღმასრულებელი დაწესებულების ხელშია სამეურნეო, პოლიციური, სასამართლოს და გამომძიებლის საქმეები. ადამიანის პიროვნებას როგორც უნდათ ისე ექცევიან...

დღევანდელ პირობებში სახელმწიფო სამსახური სამარცხვინო ხელობათ გახადეს ადამიანურ ღირსებავ მოკლებულ მოხელეებმა.

ამ გვარმა მდგომარეობამ, მთავრობის განუსაზღვრელ აპეკუნობამ მეტის მეტად შეაფერხა ხალხის ცხოვრება. ჩვენი ადმინისტრაცია,—ეს მთელი გროვაა ათასგვარ უკანონობის და ძალმომრეობის, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთი. ამგვარ წყობილებაში კანონი აღარ არსებობს, გამეფებულა და ბატონობს მხოლოდ ერთი თავაშვებული, აღვირწახსნილი ძალმომრეობა და თვითნებობა, რომელსაც კერპათ გაუხდია მხოლოდ მარტო ფული და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

„ამბობენ—განაგრძობს ბ-ნი უნკოვსკი—, რომ ვითომც საზოგადოებას ქონდეს საშუალება ბოროტების აღმოსაფხვრელათ, მაგრამ ვერ სარგებლობს თავის უფლებებითო. მართალია განა ამ გვარი აზრი! სადაა ის უფლებები, რომლის წყალობით შეიძლებოდეს უკანონობის მოსპობა? ამ გვარი უფლებები არსებობს მხოლოდ ქაღალდზე, და არა ცხოვრებაში.

ქალაქის წოდებას, მაგ., ეძლევა ზოგიერთი კერძო უპირატესობანი, მაგრამ საზოგადო საქმეში არავითარი ხმა არა აქვს. ქალაქის საბჭოს, მთავრობის ნებადაურთველათ, ვერაფერი გაუკეთებია; ნამდვილათ კი ქალაქის სამეურნეო საქმეები საგუბერნიო მართველობის ხელშია, მთავრობის აპეკუნობამ ჩაყლაპა, გაანადგურა ვაჭრობა და მრეწველობა და მისი საქმე პოლიციას ჩააბარა, ვაჭრობა შეზღუდულია ათასგვარი შემავიწროებელი კანონებით, ასე რომ პოლიცმეისტერმა თუ მოისურვა, დღესვე დაკეტავს კანონიერათ მთელ დუქნებს. რა დამოუკიდებლობა, რა თვითმართველობა უნდა გამოიჩინოს ამ პირობებში მოქალაქეთა წოდებამ?

ყველაზე უარეს მდგომარეობაში კი გლეხობა იმყოფება. სოფლის საზოგადოება დამოკიდებულია ბიუროკრატიაზე, რომელსაც არაფრათ ეპიტნავება ხალხის ინტერესი. საქმე იქამდი მივიდა, რომ არც ერთი პატიოსანი კაცი სოფლის უფროსათ (ბოქაულათ) არ დადგება. მან უნდა სძარცვოს ხალხი და აძლიოს მთავრობას; თუ არ ასე, მას ერთ წამში დაითხოვენ სამსახურიდან. მიზეზი ათასგვარი მოიძებნება. მამასახლისი, მოსამართლე და სხვა ყველა უცოდინარია, არც ერთმა წერა-კითხვა არ იცის, ან თუ იცის,—ძალიან სუსტათ. საქმის წარმოება კი წერით ხდება. მწერალს მთავრობა ნიშნავს. მთავრობა სოფელში უცერემონიოთ, ყოველ ფეხის გადადგმაზე, არღვევს გლეხის უფლებას. რა უნდა ქნას გლეხმა, როცა უკანონოთ ეპყრობიან? წავიდეს, იჩივლოს? ვისთან, სად? პირდაპირ სასამართლოში ჩივილი არ შეიძლება; ჩინოვნიკი და პოლიციელი მხოლოდ მაშინ აგებს მოსამართლის წინაშე პასუხს, როცა ამას თითონ მთავრობა დაინახავს საჭიროთ. მივიდეს და სთხოვოს შემწეობა ამ მთავრობას? არ შეიძლება... ამნაირათ გლეხი იძულებულია გაჩუმდეს, ითმინოს ათას გვარი შევიწროება და უკანონობა. ვინ არის აქ დამნაშავე? მიზეზი ერთი მხრით თანამედროვე სისტემაა, მეორე მხრით ჩვენი განუსაზღვრელი მოთმინება და სიწყნარე. მოხელენი სარგებლობენ ამგვარი მდგომარეობით, ფეხ ქვეშ სთელავენ ჭეშმარიტებას და სიმართლეს; ცდილობენ ამოგლისონ ის ჭუჭრუტანებიც კი, სიდგანაც მოისმის დაჩაგრული ხალხის ოხვრა, გოდება...

ზნეობრივი და პატიოსანი ადამიანი მაშინ შევა სამსახურში, როცა ეს სამსახური და თანამდებობობა ზნეობრივი და პატიოსანია. ეს უკანასკნელი მაშინაა შესაძლებელი, როცა მოსამსახურე, ან და რაიმე თანამდებობის აღმასრულებელი დამოუკიდებელია თავის საქმის ასრულების დროს, და ეს კი ხდება მაშინ, როცა არსებობს სიტყვის თავისუფლება, როცა პასუხს აგებენ მოსამართლის და საზოგადოების წინაშე.

ბ. ლოლუა და მისი ლოლიკა.

ჩვენი ყოველ-დღიური გაზეთებიდან მხოლოდ „ივერია“ აღიარებს გულწრფელათ, დაუფარავათ თავის შეხედულებას საზოგადოებრივ განვითარებაზე. მხოლოთ მასში შეიძლება შეხვდეთ ასეთ chef-d'oeuvres, როგორიცაა, მაგ., წერილები ბ.ბ. ტფილისელისა და ლ. ლოლუასი, რომელთა მსოფლიო შეხედულება უცვლელათ, ხელშეუხებლათ შენახულა პირველ ყოფილ სახით და სრულიადაც არ განუცდია სოციალურ ევოლიუციის გავლენა. იმდენათ სრულათ და სისწორით იხატება ბ. ლოლუას წერილებში „ძველი დროის“ იდეოლოგია, რომ უნებლიეთ გაიფიქრებთ: ეს კაცი მრავალ წლის განმავლობაში ლეტარგიული ძილით ყოფილა შეპყრობილიო. მის სოციოლოგიურ შეხედულობებს მნიშვნელობა აქვს ახლა მხოლოდ როგორც კურიოზულ ანახრონიზმს.

მართლაც, იყო ოდესღაც დრო, როცა საზოგადოებრივი მეცნიერება იმდენათ განუვითარებელი იყო, რომ არ შეეძლო გარკვეული, ჭეშმარიტი შეხედულება მოეცა საზოგადოებრივ მოვლენათა და მათ მიზეზთა შესახებ. ეს იყო დრო, როცა კლასობრივი ურთიერთობა ხელს უშლიდა ამა თუ იმ ისტორიულ ძალთა მნიშვნელობის დანახვას. მარა სოციოლოგია დიდი ხანია გამოვიდა ასეთ უნუგეშო მდგომარეობიდან. სოციოლოგებმა ახლა კარგათ იციან, რომ „დიდებულ ბირებს კი არ შეუქმნიათ თანამედროვე კულტურა და ცივილიზაცია“, და არც

„მეცნიერებს გამოუგონიათ მჭერლობა“, არამედ, წინააღმდეგ, ცივილიზაციის ისტორიული გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ სოციალურ-ეკონომიური პირობების განვითარება შობს უმაღლეს ინტერესებს, უმაღლეს კულტურულ მოთხოვნილებათ, რომ დიდებული მომენტები საზოგადოებრივი ცხოვრებისა თვითონ ქმნიან დიდებულ პირებს. ერთი სიტყვით, ისტორია გვასწავლის, რომ პროგრესის მიზეზი, ცივილიზაციის მამოძრავებელი ღერძი არც „გენიოსის პიროვნებაა“, არც განათლებული კაცის ენერგიული მოქმედება, მისი ნება ცხოვრების მამოძრავებელი მხოლოდ ის ძალაა, რომელიც გამოიხატება სოციალურ შეჯახებაში (соціальное треніе); ეს შეუსაბამობა-შეჯახება შედეგია მატერიალურ სიმდიდრის შემქნელ ძალთა განუწყვეტლივ ცვლილებისა. საზოგადოებრივ ძალთა თანდათანი ცვლილება იწვევს ცვლილებებს საზოგადოებრივ ორგანიზმშიაც, ქმნის ახალ-ახალ წინააღმდეგობებს ცხოვრებაში, აძლიერებს შეუსაბამობა-შეჯახებას, რომელიც განსაკუთრებულ სახეს იღებს იმ ისტორიულ-პოლიტიკური პირობების მიხედვით, რომლებშიაც ის ხდება. რაც მეტია ცვლილება წარმოების ტეხნიკაში, იმდენათ უფრო მწვავდება შეუსაბამობა-შეჯახება საზოგადოებაში. აქედან წარმოსდგება ახალი ნაკადული ცხოვრების მიმდინარეობაში, ვითარდება ახალი მოთხოვნილება, ახალი შეხედულება და ეს აუცილებელს ხდის მთელი წყობილების გადაქმნას, რეორგანიზაციას და ადრე თუ გვიან ეს აუცილებლობა თავისას გაიტანს, ფორმას და შინაარსს ერთმანეთს შეუთანხმებს.

თუ ეს ასეა, თუ ბ. ლოლუას დებულება, რომელიც ამბობს, რომ კულტურას და ცივილიზაციას ქმნის განათლებული პიროვნება, სიმართლეს მოკლებულია, მაშინ ერთიანათ ირღვევა მთელი მისი მსჯელობა, რომელიც ამ ყალბ საფუძველზეა დამყარებული და ლოღიკურათ გამომდინარებს მისგან. ცხადია საზოგადოების წინმსვლელობას არ ქმნიან არც პროფესიონალური მეცნიერები, არც ნაფიცი და კერძო ვექილები, არამედ ის „წვრილი ხალხი“, მასსა, რომელიც შეგნებულათ უყურებს საზოგადოებრივ კითხვებს და ესმის საკუთარი ინტერესები. ამიტომ ჭეშმარიტი პროგრესიული ძალა ამ წვრილ ხალხის სულიერ განვითარებაშია, მათი გონებრივი ამაღლებაა. მარა სულ სხვა გვარათ აზროვნობს ბ. ლოლუა. მას სურს გამოანაწილოს საზოგადოებიდან ზოგიერთი პირები, შემატოს ისინი „განათლებულთა“ ჯგუფს და ამნაირათ შეავსოს საჭირო კონტინგენტი მეცნიერთა და „განათლებულთა“, რომლებიც იზრუნვენ ხალხისათვის... აპეკუნობას გაუწევენ მას, რასაკვირველია, არა თავის ინტერესების დასაცველათ... არამედ თვით ხალხის საკეთილდღეოთ...

ბ. ლოლუა ბრძანებს: „ჩვენ გვსურს სასოწარკვეთილებიდგან გამოვიყვანოთ ღარიბნი, რომელნიც, უსაღსრობისა გამო, შვილების აღზრდისათვის აღარც კი ჰფიქრობენ, მივეშველოთ იმათ, ვინც კიდევ, დარჩნენ სასწავლებლებში, მაგრამ აუტანელ ვითარებაში იმყოფებიან, ჰყავდესთ ღარიბებსაც თავისი კონტინგენტი სასწავლებლებში, როგორც დაბლა, ისე მაღლა“. („ივერია“, № 44).

თუმცა ბ. ლოლუა შვენიერი გრძნობებით არის გატაცებული, თუმცა ის აღიარებს, რომ „დღეს არსებული სასწავლებლები ვერ იტევენ სწავლის მსურველთა, ვერ აკმაყოფილებენ საზოგადოებას. ეს მოთხოვნილება თანდათან იმატებს“-ო, მაგრამ მაინც, რაკი ერთხელვე ყალბ შეხედულებას დაადგა, ისეთი წინადადება მოგვცა, რომელიც სრულიადაც არ შეესაბამება მისგან დაყენებულ კითხვას: „ჩვენ გვსურს სასოწარკვეთილებიდან გამოვიყვანოთ ღარიბნი, რომელნიც უსაღსრობისა გამო შვილების აღზრდისათვის არც კი ფიქრობენო“.

ის გვეუბნება უმაღლესათ ნაბოძები ფული ღარიბ აზნაურთა შვილების სტუდენტებს დავახმაროთ და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ეს შემწეობა „ოდესმე მოიტანს ნაყოფს, რომელიც ყოველთა თანასწორ მოეფინება“. ამ ფიქრის დასამტკიცებლათ მას შემდეგი საბუთები მოყავს: „რუსეთში გლეხკაცების ფულით მაღალი სასწავლებელი დააარსეს. იმ დროს გლეხ-კაცობას სწავლის უფლებაც არა ჰქონდა. გაიარა საუკუნემ და დამტკიცდა, რომ გლეხ-კაცებს იმ სასწავლებლებში დიდი წილი სდებიათ. დიადი მეფე ალექსანდრე მეორე იყო იმ სასწავლებლების ჭეშმარიტი შვილი და მისი დიდებული რეფორმები მათივე ნაყოფია“ (ib).

ჩვენ გაურჩევლათ ვტოვებთ არგუმენტს და უტყუარათ ვთვლით იმ ფაქტს, რომ „რუსეთში გლეხ-კაცების ფულით მაღალი სასწავლებელი დააარსეს“, მაგრამ საჭიროთ მიგვაჩნია აქვე გავახსენოთ ბ. ლოლუას კიდევ უფრო თვალსაჩინო ფაქტი, რომ 1) უნივერსიტეტებს რუსეთში და დასავლეთ ევროპაშიაც ერთი იოტის ოდნავადაც არ გაუუმჯობესებიათ მატერიალური და გონებრივი მდგომარეობა გლეხობისა; რომელიც თანდათან, უფრო უარეს მდგომარეობაშივარდება, და 2) რომ უნივერსიტეტით ვერ სარგებლობს ის, ვისი „ფულით მაღალი სასწავლებელი დააარსეს“.

თუ ბ. ლოლუას სურს გაამართლოს თავის ზემო გამოთქმული შეხედულება, მან უნდა დაარღვიოს ის, რასაც ჩვენ აქ ვამტკიცებთ, მარა ეს მას არ შეუძლია, არ შეუძლია იმიტომ, რომ აქ აღნიშნულია ყველასაგან აღიარებული ფაქტი. ყოველ შემთხვევაში მე ვუსვამ მას ასეთ კითხვას. დაე, ჩაუფიქრდეს საკუთარ ნათქვამს. ან იქნება ბატონ-ყმობის მოსპობის მიზეზს ის უნივერსიტეტში ხედავს? XIX და XX საუკუნის სოციოლოგებს ასეთ გენიალურ თეორიამდი ჯერ არ მიუღწევიათ და ბ. ლოლუა გახდება ამ თეორიის შემქნელი...

მარა დავანებოთ თავი ლოლუა-სოციოლოგს და მივუბრუნდეთ ლოლუა-პრაქტიკს. ლოლუა-პრაქტიკს სურს „სასოწარკვეთილებიდან გამოიყვანოს ღარიბნი მშობლები“, აღიარებს, რომ „დღეს არსებული სასწავლებლები ვერ იტევენ სწავლის მსურველთ“ და ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ გვირჩევს... უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიების დანიშვნას.

ესეც ლოღიკა და პრაქტიკული ნიჭი! ხალხის უმრავლესობას არა აქვს შეძლება, რომ პირველ დაწყებით შკოლებში მაინც გამოზარდოს თავის შვილები, ასეთი შკოლებიც საკმაოთ არ მოეპოვება და ამნაირათ საშუალო სასწავლებლებისათვისაც ბავშვების მომზადება შეუძლებელი ხდება, ხოლო ბ. ლოლუა კი უპირველეს ყოვლისა იმის ცდაშია, რომ ღარიბეს მშობელთა შვილები მატერიალურათ უზრუნველყოს უმაღლეს სასწავლებელში. რა მანქანებით უნდა მოხვდენ ასეთ ღარიბთა შვილები უმაღლეს სასწავლებლებში, ეს ჩვენთვის გაუგებარი რჩება. ცხადია ბ. ლოლუას სულ სხვა რამეს თქმა უნდოდა, და, ცხადია, მას სულ სხვა ღარიბები ყავდა სახეში. მას რომ მხედველობაში ყოლოდა ასეთი ღარიბები, მაშინ თანახმათ ლოღიკისა და საღი მსჯელობისა, უნდა მოეთხოვა მოსამზადებელ და პირველ დაწყებით შკოლების გახსნა, რომ ამით ღარიბი ბავშვები უსწავლელი არ დარჩენილიყვენ. ეს ერთი. მეორე: მას საჭიროთ უნდა დაენახა ასეთი შკოლების გახსნა გუბერნიის სხვადასხვა ადგილებში, უსასყიდლოთ სწავლების შემოღება, რომ შკოლა ხალხის რაც შეიძლება მეტ ნაწილისათვის ხელმისაწდომი ყოფილიყო.

ამ ორ პრაქტიკულ შენიშვნას გარდა ბ. ლოლუას კიდევ უნდა მოვაგონოთ ერთი გარემოება. ის აღიარებს, რომ არიან ისეთი ღარიბნიც, „რომელნიც უსაღსრობისა გამო შვილების აღზრდისათვის აღარც კი ფიქრობენ“. ამ ღარიბებს ხომ სულ აღარ შეუძლიათ თავის შვილებს საშუალო სასწა-

ვლებელში სწავლა მიაღებინონ და მათი შვილები, ცხადია, ვერც სტიპენდიების კანდიდატებათ შეიქნებიან. მაშასადამე, ულარიბესი ნაწილის ინტერესები სრულებით მივიწყებული რჩება ამ ოცი ათასი მანეთით განაწილებაში. ბ. ლოლუას, რასაკვირველია, აზრათ არა აქვს სტიპენდიები ღარიბ აზნაურთა 5 წლის ბავშვებს დაუნიშნოს, რომ იმათაც შეძლება მისცეს საშუალო სასწავლებელში შესვლისა. ეს კიდეც რომ სურდეს, ამით მაინც მიზანს ვერ მიაღწევს. ყველაზე ულარიბესნი, რომელთაც საკმაო არც დრო აქვთ და არც გავლენა სტიპენდიებს ვერ მოიპოვებენ თავის შვილებისთვის. სტიპენდიებით ისარგებლებენ მხოლოდ ისინი, ვინც უფრო შეძლებული, მოხერხებულია და ვისაც საჭირო პირებთან ნათესავური კავშირი აქვს. ამნაირათ საქმის ზოგიერთ გამგეებს ხელში უვარდება მოხერხებული იარაღი... ხოლო ულარიბესთა ინტერესები დაუკმაყოფილებელი დარჩება.

სოციალურ პირობათა გასაუმჯობესებლათ და სოციალურ ევოლიუციის წინმსვლელობის ხელის შესაწყობათ უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ კულტურული მოთხოვნილება განვითარდეს, გავრცელდეს ხალხში, საჭიროა, რომ მათ შეიგნონ თავის ადამიანური უფლებები. და აი ეს დიდებული მიზანი სრულიათ არ არის დამოკიდებული იმაზე, რომ რამოდენიმე ათი გინდა ასი პირი დიპლომიანი შეიქნეს, უმაღლესი განათლების ცენზი შეიძინოს. ეს ათი და ასი განათლებული პირები ვერ გასწევენ იმ მზის მაგიერობას, რომლის მხურვალე სხივები ათბობს და აცხოველებს ხალხს, მასსას. არა, ბ-ნო ლოლუა, განათლებულებს არ მოეპოებათ ასეთი განმაცხოველებელი ძალა, მათ არა აქვთ ასეთი თვისებები. განათლებულები კი არ წარმოადგენენ იმ დედა ღერძს, რომლის გარეშემო ტრიალებს ხალხის ცხოვრება. არა, პროგრესიული ძალა ისეთ პირობების შექმნაშია, რომლებსაც შეუძლია ნათელი შეიტანოს ხალხის ბნელ ცხოვრებაში. საზოგადოების პროგრესიულ მსვლელობისათვის ბევრათ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას, ზოგიერთ საზოგადოებრივ საგნებიდან ელემენტარული ცნობების გადაცემას, ვინემ ათისა და ოცის გადიპლომიანებას. მაშ რა უფრო საჭირო ყოფილა: 15—20 შკოლის გახსნა გუბერნიის სხვადასხვა ადგილას, რომელიც 1000—1500 ყმაწვილს შეასწავლის წერა-კითხვას, თუ 60—70 პირის უნივერსიტეტში გამოზრდა? ბ. ლოლუას ეს უკანასკნელი უფრო სასარგებლოთ მიაჩნია და მისი საზოგადოებრივი შეხედულობით თუ გავსჯით—ის მართალიცაა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვით მისი შეხედულება ერთიანათ ეწინააღმდეგება „კულტურისა და ცივილიზაციის“ ინტერესებს...

შთაბეჭდილების გასაძლიერებლათ ბ. ლოლუა ხშირათ პატეტიურ ფრაზებს მიმართავს და უნდა მკითხველის გრძნობაზე იმოქმედოს და არა გონებაზე. ჩვენ შეგვეძლო უფრო ამაღელვებელი სურათები დაგვეხატა იმ უკიდურეს სიღარიბე-სილატაკისა, რომელშიაც ცხოვრებს ხალხის დიდი უმრავლესობა, რომელიც განუწყვეტლივ იბრძვის ლუკმა-პურის საშოვნელათ, რომელსაც პირველდაწყებითი სწავლაც არ მიუღია, სახელგვარის მოწერაც არ უსწავლია და, წყვდიადის სიღრმეში ჩაფლულს, ვერ შეუგნია თავის ინტერესები, თავის გაჭირვების მიზეზები. ეს სურათი უფრო გულ შემზარავი გამოვიდოდა, ვინემ ბ. ლოლუას მიერ დასურათებული სტუდენტ-რეპეტიტორის მდგომარეობა. მარა საქმე სურათების ხატვაში კი არაა, არამედ იმ კითხვის გამორკვევაში, რომელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეადგენს უფრო მიუცილებელ საჭიროებას. აი ამ კითხვის გადაწყვეტას ვცდილობდით ჩვენ ამ წერილში.

რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომელსაც ბ. ლოლუა სდებს ჩვენს სტუდენტობას, ახალგაზდა ინტელიგენტებს, საზოგადოებრივ ასპარეზზე ახლად გამოსულთ, ეს ბრალდება შემდეგ სიტყვებში გამოხატა „ძველი თაობის და შეხედულების“ მადიდებელმა:

„მეორე კიდევ სამწუხარო არის ის ნაკლი, რომელიც ამ საგანზედ ბჭობა-კამათმა აღმოაჩინა. მან აშკარად დაგვანახვა, რომ ჩვენი ახალი თაობა, რომელიც გამოდის საზოგადო სარბიელზე, ნაცვლათ წარმავალის ძველის თაობისა, არ სდგას თავის მომზადებით იმ სიმაღლეზედ, ურომლისოთ არ არის შესაძლისი არავითარი ნაყოფიერი მოღვაწეობა“ („ივ.“ № 38).

ნათქვამია, ოჯახში თითო მახინჯი გამოერევაო, და ყოველი ხალხის სტუდენტობაშიც შეხვდებით ისეთ ტიპებს, როგორსაც ასურათებს ბ. ლოლუა. თუ ის ცოტათი მაინც იცნობს დასავლეთ ევროპის სტუდენტებს, ადვილათ დაგვეთანხმება, რომ მისი სურათი უფრო ამ უკანასკნელთა სტუდენტებს მოგვაგონებს, ვინემ რუსეთისას. რუსეთის სტუდენტები გარეშე მიზეზების გამო, საზოგადოებრივ კითხვებს მეტ დროს ანდომებენ, ვინემ უნივერსიტეტებში მეცადინეობას. ამაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არაა, ეს ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტია. თუ ეს ასეა, ცხადია, თანამედროვე სტუდენტობა უკეთეს საზოგადოებრივ შკოლაში იწვრთნება, ვინემ „ძველი თაობა“. მაშასადამე საზოგადო მოღვაწეობისათვისაც ისინი უფრო მომზადებული გამოვლენ. ისინი დღეს სხვა პროგრესიულ ელემენტებთან ერთათ უმაღლესი იდეალის მატარებელი არიან, მათ ცხოვრებაში გაყვანისათვის იბრძვიან. ამას გვიჩვენებს სტუდენტობის მოძრაობა. ამიტომ სასტიკათ და უადგილოთ მიგვაჩნია შემდეგი სიტყვები: „ვეღარ ვხედავთ დღევანდელ სტუდენტში ადრინდელ სულისკვეთებას და მისწრაფებას იდეალისადმი“, ერთი ნაწილის შესახებ მაინც.

დიახ, ცხოვრებამ ბევრათ წინ წაუსწრო ბ. ლოლუას, და ეს არის თავი და თავი მიზეზი იმის, რომ ლოლუა ასე გმობს და კიცხავს ყველაფერ ახალს, მოწინავეს, ახალ იდეალებს და მათ მომხრეებს.

დ. თოფურიძე.

სხვადასხვა ამბები

24 თებერვალს ქალაქის საბჭოს სხდომაზე არჩეულ იქმნა თბილისის ქალაქის თავათ ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი 61 ხმით 10-ს წინააღმდეგ.

მთავრობას განუზრახავს სახაზინო გლეხების მიწების გაწესრიგება. ამიტომ, როგორც გადმოგვცემენ, შინაგან სამინისტროში მუშავდება პროექტი იმის შესახებ, რომ ჩვენ ქვეყანაში 28 მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობა დაწესდეს.

მარტის 8-ს დანიშნულია წლიური კრება კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისა; ამ კრებაზე, სხვათა შორის, განხილულ იქნება კითხვა: შეუძლიან ვისმე საზოგადოების ნებადაურთველათ ამ საზოგადოების სასარგებლოთ შეკრიფოს შემოწირულება, თუ არაო.

ქუთაისში წიგნის მემაღაზიებს განუძრახავთ ამხანაგობის დაარსება, ამის ინიციატივა ეკუთვნის ბ. წერეთელს.

პერიოდული პრესის არსებობის 200 წლის იუბილეს აღსანიშნავათ თბილ. ქალ. საბჭოს გადაწყვეტილი ქონდა ორი სტიპენდიის დაარსება საშუალო სასწავლებელში და ერთი საწოლის შეძენა მიხაილოვის საავათმყოფოში. ამის განსახორციელებლათ შემდგარმა კომისიამ 23 თებერვალს სხდომაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადგინა, რომ შემწეობა აღმოეჩინოს არა მარტო იმათ, ვინც ლიტერატურულ შრომას ეწევა, არამედ ყველას, ვინც ბეჭდვითი საქმესთან ახლო დამოკიდებულება აქვს, რომ ასოთ-ამწყობი და სხვ. შემწეობის მიცემის დროს უპირატესობა მიეცემა თბილისის მცხოვრებლებს.

ქალაქის საქიმიო ლაბორატორიას წარსულ წელს 757 სხვადასხვა სურსათ-ხორაგეული შეუმოწმებია და ამათგან 592 ყალბათ შეზავებული გამომდგარა. მაგ., ერბოსა, კარაქისა და მაწონის 85 ნიმუშიდან ყველა ყალბათ შეზავებული გამომდგარა; ღვინის ნიმუშებისა 8% შაქრით შეზავებული აღმოჩენილა; 5 ნიმუში ყავისა, ჩაისა, მაკარონისა თუ სხვა—ყველა უვარგისი გამომდგარა; 111 ნიმუშიდან პურის ფქვილისა 45 მწარე და დამპალი გამომდგარა, ფქვილი რუსეთიდან შემოზიდული ყოფილა. კონფეტების 95 ნიმუშიდან 91% ყალბათ შეზავებული ყოფილა და ამგვ.

ლაბორატორიას ქალაქის მილის წყალიც გამოუკვლევია. ნიმუშები ამოუღიათ ავჭალაში და ქალაქშიაც მილებიდან და კრანებიდან. ყველა ნიმუშებით დამტკიცებულა, რომ ქალაქის მილის წყალი უწმინდურიაო.

ბ-ნმა სტეფანე კონსტანტინეს ძემ ზუბალაშვილმა შესწირა სათავად-აზნაურო სკოლის შენობის ასაგებათ 50,000 მანეთი, რომლიდანაც გამგე კომიტეტს უკვე მიუღია 30,000 მან,

---

ვენიდან დეპეშა შემდეგს გვატყობინებს: ავათმყოფი არტისტი ალექსი-მესხიშვილი ამ ჟამათ უკეთ ჰგრძნობს თავის თავს. ვენის საექიმო ფაკულტეტის ცნობილმა პროფ. ხიარიმ ამოსჭრა მას ყელიდან რამდენიმე დიდი ხორცმეტი, რის გამოც ავადმყოფს სუნთქვა გაუადვილდა. ექიმობა კიდევ დიდხანს გასტანს, რადგან ბევრი ხორცმეტია ამოსაჭრელი. ჯერ არაა გადაწყვეტილი, გარედან ოპერაციას გაუკეთებენ თუ არა. პროფესორს და მის ასისტენტებს ძალიან უკვირთ, რომ ავათმყოფი გზაში არ დაიხრჩო და ცოცხალმა მოაღწია კავკასიიდან ვენამდე.

რკინის გზათა მთავარ გამგეობას ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლათ გადაუდვია 135 ათასი მანეთი.

---

6 მარტს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია გაარჩევს ბათომში შარშან, ცხრა მარტს, მომხდარ უწესოების გამო დაპატიმრებულთა და პასუხის გებაში მიცემულთა საქმეს. ბრალი ედებათ 21 კაცს. მოწმეთ დაბარებულია 35 კაცამდე.

ქუთაისში განუზრახავთ ყოველ წელიწადს გამართონ სალამო ან სეირნობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ. საკვირველია, რომ ქუთათურებს დღემდე არ უფიქრიათ ამაზე. კარგი იქმნება, სხვა პატარა ქალაქებმაც, მაგ., თელავმა, სიღნაღმა, გორმა და სხვებმა მიბაძონ. ქუთათურები ფიქრობენ სალამო გამართონ ხოლმე პირველ მაისს, თამარ მეფის ხსენების დღეს.

ქუთაისის გუბერნიის თავ.-აზნ. წინამძღოლმა თ. ს. ლორთქფანიძემ სასოფლო სამეურნეო კომიტეტში შეიტანა განსაკუთრებული აზრი, იგი არ ეთანხმება კომიტეტის იმ დადგენილებას, რომ მთავრობის მიერ შეყიდულ იქმნას მემამულეთაგან დროებით ვალდებულ გლეხთა მიწა-წყალი შამოსავლის მიხედვით.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო კომიტეტში ზოგიერთმა წევრმა ცალკე აზრი შეიტანა წოდებათა საერთო სასოფლო საზოგადოების (всесословная волость) შემოღების შესახებ.

როგორც თბილისის გამგეობის ცნობებიდანა სჩანს ხორცის დუქნებს ამ წლის 1-ლ იანვრამდე ზარალი უნახავს 5,950 მან. 8 კაპ.

---

4 თებერვალს თფილისელ ნოქართა ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოთ ცირკში წარმოდგენა გაიმართა. შემოსულა სულ 1682 მან. 90 კაპ. ხარჯს გარეშე, დარჩენილა 1146 მან. 3 კაპ.

ლაპარაკი აქვთ, ბათუმში ახალი შენობა, ააგონ ადგილობრივ სატუსაღოსთვის.

როგორც ოფიციალურ ცნობებიდან ჩანს, 1902 წელს კავკასიაში დედამიწიდან ამოუღიათ: ნავთი- 705,612,959 ფუთი, მარგანეცი—24,943,315 ფუთი, სპილენძი—6,641,292 ფუთი მარილი—3,083‘082 ფ. და ქვა-ნახშირი 2,974,308 ფ.

ბათუმის ქალააქის საბჭოს საბიუჯეტო კომისიას უკვე შეუმუშავებია მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა. შემოსავალი მოსალოდნელია 397,557 მ. ხოლო ხარჯი 397,051 მან. 86 კაპ.

კორესპონდენციები.

ფოთი. აქაური რამე-რუმე. შვიდ იანვარს, გამგეობის წევრის, ბ-ნი ფანტხავას თავმჯდომარეობით მოხდა ქალაქის საბჭოს მორიგი კრება. სხვათა შორის, კრებას მოხსენდა ბ-ნ გუბერნატორის მოწერილობა, რომელშიაც ეკითხებოდა საბჭოს: თქვენ რა აზრის ხართ, რომ აზოვო-დონის კომერციული ბანკის განუოფილება გაიხსნას ფოთშიო. თუმცა ოფიციალურათ ეს ამ დამეს გამოუცხადეს ფოთის წარმომადგენლებს, მაგრამ ამის შესახებ აგერ კრება ხანიადიდ საგონებელში არის ჩავარდნილი აქაურ მცხოვრებთა ერთი ნაწილი. საქმე იმაშია, რომ თუ ვინიცობაა ამ მდიდარმა ბანკმა მართლაც და განახორციელა თავისი წადილი, მაშინ აქაური საურთიერთო ნდობის საზოგადოების დღეები დათვლილათ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ყველა ის ოპერაციები, რომლითაც ეს საზოგადოება დღეს სულდგმულობს, აუცილებლათ ამ ბანკის ხელში გადაირს. ამის გამო რა გასაკვირალია, რომ ხმოსნების უმეტესობა, რომლებიც ამასთანავე ამ საზოგადოების დამფუძნებელნიც არიან, ამ კანზრახვის წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ გადაწყვეტილი უარისთქმაც ვერ მოახერხეს, ვინაიდან აზოვო-დონის ბანკი და აქაური საკრედიტო დაწესებულება საუკეთესო განწყობილებაში ოფიციალურ და პირველი დიდ დახმარებას უწევდა და უწევს თურმე უკანასკნელს. „ამიტომ— განაცხადა ხმოსანმა მიქაბერიძემ, ჩვენ ისე უნდა მოვიხერხოთ, რომ მგლებიც მაძღრები დარჩენ და არც ცხვრებს გაუწირდეს რაიმე; ჩვენ არ უნდა დავდუბოთ ჩვენი საურთიერთო ნდობის საზოგადოება, იმას გარდა რომ იმაში ფრმოცდა ათი ათასი მანათი შეგვიტანია თანხათ და იმის გაკოტრებით ჩვენ უფლები გამოგვეკრება; ამას გარდა საზოგადოებას დაკარგდება მაგით, რადგანაც ჩვენი ბანკი მარტო კომერციული დაწესებულება როდია და ის ოფიციალურ ბანკად დაწესებულებებს“. ამის მიხედვით გადასწყვეტეს უარი გაეგზავნათ, მაგრამ როგორც ზევით მოვიხსენიე, აზოვის ბანკის წევნინებაც არ უნდოდათ და დადგინეს ასეთი ფორმულა: თუმცა ბრიტანიალურათ არავითარი საწინააღმდეგო არ გვაქვს ხსენებული ბანკის განუოფილება გაიხსნას ჩვენ ქალაქში, მაგრამ რადგანაც ვაჭრობა აქ ძალიან მცირეა და მცხოვრე-

ბლებიც ნაკლები, ამიტომ იმის გახსნა ნაადრევათ მიგვაჩნია. თერთმეტი ხმის უმეტესობით სამის წინააღმდეგ ეს ფორმულა მიღებულ იქნა.

გადაწყდა აგრეთვე ნოქრების საქმე კვირა-უქმეებზე დასვენების შესახებ. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ეს საქმე კომისიას ქონდა მინდობილი, რომ შეემუშავებია პროექტი (რა დიდი პროექტი იყო!) დასვენებისა, მაგრამ კომისიის წევრები ვერაფერში ვერ შეთანხმებულან. ზოგი ემხრობოდა წინანდელ გადაწყვეტილებას, რომლის ძალით ვაჭრობა უნდა დაწყებულიყო თორმეტ საათზე და გათავებულიყო სამზე, ზოგი ხუთ საათამდე უმატებდა დროს, ხოლო კომისიის ერთი წევრი ვაჭარი ყვანია — სასტიკი მოწინააღმდეგე ნოქრების თავისუფლებისა, იმ აზრის იყო, რომ დუქნები საღამოს ექვს საათამდე დაეკეტათ და მერმე გაეღოთ. ეს კურიოზული მოსაზრება ალბათ ნოქრების ზნეობის დასაცველათ მოიგონა ბ-ნმა ყვანიამ. კენჭი უყარეს ორ წინადადებას: 1) გაიღოს 12-ზე და დაიკეტოს 3 საათზე, 2) გაიღოს 12-ზე და დაიკეტოს 5-ზე. ცხრა ხმის უმეტესობით ექვსის წინააღმდეგ უკანასკნელი წინადადება გავიდა.

მთელ ფოთში სულ რვაათასამდე მცხოვრებია. ეს არც ისეთი ცოტა რიცხვია, რომ ამოდენა მცხოვრებლებში ათამდე მაინც სცენის მოყვარე არ ერიოს. და არის კიდეც, ე. ი. უკაცრავათ, ძველი კაცები ამბობენ, რომ მას ჟამსა შინა იყვნენ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ისინი სადღაც გაქრნენ და მას შემდეგ მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ არავინ იცის, თუმცა ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ იმათ მელპომენის ტაძარი ბანქოსა და ნარდზე გადაცვალეს და რადგანაც აქაური კლუბი, სადაც წარმოდგენები იმართებოდა, მეორე სართულზეა და საშიშიც არის, რომ უცებ დაინგრეს, ამიტომ ისევ ძირს არჩიეს ყოფნა და ყავახანაში შეიტანეს საწოლით. უწინ კი თურმე ძალიან უყვარდათ თეატრი და სხვა ასეთი გასართობები, მართავდენ წარმოდგენებს, სალიტერატურო საღამოებს, მოთამაშე ქალებიც საკმაოთ იყვნენ და რამოდენიმეთ კიდეც გამოიწვიეს, მაგრამ აიშალნენ „კავალრები“ — რატომ ის ქალიშვილი, რომელიც ჩემი „სიმპატიაა“ და ჩემთან უნდა თამაშობდეს, რატომ შენთან თამაშობს ის, ეს შეურაცხყოფაა, ამას ვერ მოვითმენთო. და ვერც მოითმინეს. აბა ამოთქმულ სიტყვებს როგორ ჩათქვამდენ ეს უებრო დონკიხოტები... უკაცრავათ, გმირები მინდოდა მეთქვა! და აი ერთ დღეს, როცა ერთი კვირის წვალების შემდეგ როგორც იქნა გაიზეპირეს „ერთი პიესა“ და დადგეს, უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც რევოლვერი უნდა ესროლა მომქმედ პირს — აკი უმტყუნა ხომ, — თურმე გმირებმა ვერ მოითმინეს და რევოლვერიდან პატრონები მოპარეს. არც ამას დასჯერდენ და მიმართეს მუზას, ფოთში გავრცელდა ათასნაირი პასკვილები და ამ აპოლონის უკანონო შვილებმა ურცხვათ დალანძღეს მოთამაშე ქალიშვილები. ამას შემდეგ ქალებმა გადააფურთხეს ეშმაკს და ჭერას მიუჯდნენ, ხოლო უმაწვილები თავ-თავიანთ გზას ეწიენ. კარგს იზამდა ჩვენი ქალაქის საბჭო, რომ ერთს განსაკუთრებულ კომისიას ამ საქმეს მოახმარდეს — საჭიროა შედგეს „ქართველი სცენის მოყვარეთა მაძებარი“ კომისია, თორემ აბა რუსული წარმოდგენა აქ ხშირათაც იმართება და არც უშავს რამე, რომ ხელმისაწდომი ფასების დადება იციოდენ. რომ ეს ნაკლი არა, ისე არა უშავდა რა იმათ წარმოდგენებს, მით უმეტეს, რომ ყოველთვის კარგი მიზნით იმართება, ხან სკოლის სასარგებლოთ, ხან მოწაფეების, ხან სცენის... სამკითხველო კი არც ღმერთს ახსოვს, არც კაცს, გარდა ვინმე შემთხვევითი სტუმრისა, რომელსაც ჯერ ჟურნალ-გაზეთების სიძვირე გააკვირვებს და მერმე სამი კაპეიკის გადახდა. მაინც ყველა სწყალობს ჩვენ სამკითხველოს — ჯერ „მამები“ უკლებენ სუბსიდიას, მერე ნებართვას ელიან გახსნისას. როდესაც ეს მოვიდა, შემდეგ ერთი კვირეს ბ. ლ. ახობაძის ძებნას მოუნდენ, რომელსაც როგორც ყოველ ბიბლიოთეკარს კლიტე და წიგნები ებარა კლიტე როგორც იქნა გამოგზავნა ბ-ნმა ახობაძემ, მაგრამ დაკარგული წიგნების შესახებ კი არც ავს ამბობს, არც კარგს, არც უწერია სადმე თუ ვის გაატანა. და ბ-ნი ახობაძე კი, ასე ვთქვათ, წიგნებს ცოტათ თუ ბევრათ უნდა სცემდეს პატივს, ერთი-ორი ლექსი მასაც დაუწერია და უნდა იცოდეს, რომ ლამაზათ ვერ მოექცა საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგური სუფსა. სუფსელები მეტათ დაქვეითებულნი არიან მატერიალურათ, მარა სწავლის სურვილი ძლიერი აქვთ. უსახსრობას გამო დაიხურა სამკითხველო-წიგნთ საცავი. შკოლა კიდევ არსებობს, თუმცა უიმედოა მისი სულისთქმა. იყო დრო, როდესაც სუფსის სადგურზე საკუთარი შენობა არსებობდა შკოლისათვის. ეხლა კი სასწავლებელი მოთავსებულია ორ ნაქირავებ სახლში, რომელთა ქირათ მცხოვრებნი იხდიან წლიურათ 250 მანეთამდი. ამ თანხას და თან მასწავლებლების ჯამაგირის გადახდა სხვა მრავალგვარ მოთხოვნილებასთან ერთათ აქაურ მცხოვრებთათვის ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ არ იქნება უმნიშვნელო, რომ მცხოვრებთა საკუთარი შენობა, რომელშიც მოთავსებული იყო აწ გაუქმებული სამკითხველო, მთავრობამ დაუთმოს სასწავლებელს და მით ხალხი გაახალისოს სწავლისადმი.

ვინ-ჯაბა,

რუსეთის ცხოვრება

გამოჩენილი „მამები“ ქალაქ სამარასაც ყოლია. როგორც „სამარ. გაზეთი“ გადმოგვცემს, იქაურ ქალაქის თავს განკარგულება მოუხდენია კანცელარიაში „სამარსკ. გაზეთის“ თანამშრომელთ ცნობა არ მისცეთ ქალ. გამგეობიდანო.

— გზათა სამინისტრომ შეატყობინა გზების მართველობას, რომ მორიგობა დიდ სადგურებზე არ უნდა გადასცილდეს 8 საათს დღეში, პატარებზე 12—საათს.

— ფოსტის უწყებას განზრახვა აქვს შესცვალოს ფოსტის მარკების ახლანდელი ფორმა და სახე. ახალი მარკები უფრო დიდები და მრავალ ფეროვანი იქნებიან; გარდა ამისა, ბოროტ-მოქმედების ასაცდენათ ფოსტის შტემპელის დაკვრით მარკა რამდენსამე ალაგას გაიხვრიტება.

— რკინის გზების უმთავრეს მართველობას გადაუწყვეტია მოახდინოს ყველა რკინის გზების მსახურთა აღწერა; ამ გზით შეგროვდება მდიდარი სტატისტიკური მასალა რკინის გზების მსახურთა რაოდენობის და მათი მდგომარეობის შესახებ.

ქალები

ჩეხოვისა

თეოდორე პეტრეს ძემ, N გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა, რომელიც თავისთავს დიდსულოვან და ზედმიწევნით სამართლიან კაცათ რაცხდა, მიიღო ერთხელ თავის კანცელარიაში მასწავლებელი ვრემენსკი.

— შეუძლებელია, ბ-ნო ვრემენსკი — ეუბნებოდა ის: გადაყენება აუცილებელია. მაგნაირი ხმით, როგორიც თქვენა გაქვთ, მასწავლებლათ დარჩენა მოუხერხებელია. რა დაგემართათ, რომ ასე ერთიან დაგკარგვიათ?

— გაოფლიანებულმა ზედი-ზედ ცივი ლუდი დავლიე, წაიჩურჩულა მასწავლებელმა.

— ეს შეუბრალებლობაა! კაცი თოთხმეტი წელიწადია მასწავლებლათ მსახურებდა, უცებ კი ასეთ განსაცდელში ვარდება!.. ეშმაკმა იცის, რასა ჰგავს; ასეთი უბრალო საქმის გამო სამსახურს თავი უნდა მიანებოს! რას ფიქრობთ ეხლა, რა გინდათ ქნათ?

მასწავლებელს არაფერი უპასუხნია.

— თქვენ ოჯახობა გყავთ?—ეკითხება დირექტორი.

— ცოლი და ორიც ვაჟი, თქვენო აღმატებულებავ—ძლივს გასაგონი ხმით მიუგო მასწავლებელმა.

სიჩუმე გამეფდა. დირექტორი წამოდგა და აღელვებულმა დაიწყო კუთხიდგან კუთხეში სიარული.

— ვერ მომისაზრებია, რა გიყოთ მე თქვენ!—სთქვა მან. მასწავლებლათ თქვენი დარჩენა არ შეიძლება, პენსია არ დაგიმსახურებიათ, უადგილოთ, ბედის საძებნელათ გაშვებაც უხერხულია!.. შენ ახლა დამსახურებული მასწავლებელი ხარ, ჩვენათ ითვლები და ამიტომ, მე ვალდებული ვარ დაგეხმარო, მარა როგორ? რა დახმარება შემიძლია მე თქვენ გაგიწიოთ? შედით ჩემს მდგომარეობაში, რა უნდა გიყოთ, რით მოგეშველოთ?—მდუმარება ჩამოვარდა. დირექტორი კი ფიქრებში გართული ისევ დადიოდა. უცებ შედგა.

— მართლა, რატომ აქნამდის არ მომაგონდა!—სთქვა მან აჩქარებით. მომიხედეთ, რა გითხრათ: ამ ერთი კვირის განმავლობაში, ჩვენი თავ-შესაფარის მწერალი სამსახურს თავს ანებებს, თუ გნებავთ დაიჭირეთ მისი ადგილი.

ვრემენსკის, რომელიც არ მოელოდა ასეთ მოწყალებას დირექტორისაგან, სიხარულით თვალები გაუბრწყინდა.

— ჩინებული ადგილია—უთხრა დირექტორმა. დღესვე შემოიტანეთ თხოვნა.

ვრემენსკის წასვლის შემდეგ, თეოდორე პეტრეს ძემ, თავისუფლათ ამოისუნთქა. ის ეხლა კმაყოფილათ და თან ბედნიერადაც რაცხდა თავის თავს. მასთან კიდევ აღარ მოვიდოდა წელში მოხრილი, დახრინწიანებული მასწავლებელი. სასიამოვნო და თან ძლიერ სასიხარულოც იყო ასეთი უადგილო მასწავლებლისათვის შემწეობის აღმოჩენა და ადგილის შოვნა. ის მოიქცა, როგორც კეთილისმყოფელი და სამართლიანი კაცი. მაგრამ მისი ასეთი კმაყოფილება, დიდხანს არ გაგრძელებულა, როდესაც ის სახლში დაბრუნდა და სადილის საჭმელათ დაჯდა, მისმა ცოლმა, ნასტია ივანეს ასულმა, უცებ მოაგონა:

— მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა! გუშინ აქ მოვიდა ნინო სერგის ასული და გთხოვა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცისათვის ის მწერლის ადგილი, რომელიც ამ დღეებში იცლება თქვენს თავ-შესაფარში...

— მართალია, მაგრამ ამ ადგილს უკვე სხვას შევპირდი, სთქვა დირექტორმა და დაიღრიჯა.

— შენ იცი ჩემი კანონები? მე პროტექციით არავის ადგილს არ ვაძლევ!..

— ვიცი, მაგრამ ნინას გაწბილება კი არაფერ შემთხვევაში არ შეიძლება. იმას ჩვენ ისე ვუყვარვართ, როგორც თავისიანები, ჩვენგან კი იოტისოდენა პატივისცემა არ იცის. არ იფიქროთ, თეოდ, მაგაზე უარის თქმა, თორემ შენი ჯიუტობით იმასაც აწყენინებ და მეც.

— ვისთვის უნდა მას ეს ადგილი?

— პოლზუხინისათვის.

— რომელი პოლზუხინია?! ეს ის ხომ არ არის, ახალწელიწადს რომ კლუბში ჩაცკის როლი ითამაშა? იმ ჯენტლემენისათვის? არაფერ შემთხვევაში.—დირექტორმა ჭამას თავი მიანება.

—არაფერ შამთხვევაში მეთქი—ხელმეორეთ გაიმეორა მან.—ღმერთო შენ დამიფარე!..

— კი, მაგრამ რისთვის?!

— გაიგე ადამიანო, რომ ის ახალგაზდა კაცი, რომელსაც ქალების შემწეობით უნდა საქმე გააკეთოს, სალახანა და ყოვლად წამხდარი კაცია. რატომ თითონ არ მობძანდა ჩემთან?!.

სადილის შემდეგ დირექტორი შევიდა თავის კაბინეტში და დაიწყო ახლათ მიღებული წერილების და გაზეთების გადათვალიერება.

„დიდათ პატივცემულო თეოდორე პეტრეს ძეო!—სწერდა მას ქალაქის თავის მეუღლე,—როგორც თქვენ ბრძანებდით მე გულთამხილავი და ზედმიწევნით მცოდნე ვარ ხალხისა, ახლა თქვენ უნდა განახორციელოთ ეს საქმით. ამ დღეებში თქვენთან მოვა ერთი ჩემი კარგი ნაცნობი ახალგაზდა ყმაწვილი, პოლზუხინი და გთხოვთ მწერლის ადგილი მისცეთ თქვენს თავშესაფარში. ყმაწვილიკაცი ერთობ სიმპატიურია. მივიღე მონაწილეობა მის... ერთი სიტყვით თქვენ ყველაფერს მიხვდებით და სხვა...

— არაფერ შემთხვევამ—წაილაპრაკა დირექტორმა,—ღმერთო შენ დამიფარე!..

ამის შემდეგ ისე დღე არ გავიდოდა, რომ დირექტორს სარეკომენდაციო წერილი არ მიელო პოლზუხინის შესახებ. ერთ მშვენიერ დილას კი გამოცხადდა თითონ პოლზუხინიც, ახალგაზდა ყმაწვილიკაცი, ახლათ წვერმოპარსული, შავ ტანსაცმელში კოხტათ ჩაცმული.

— მე მთხოვნელებს აქ არ ვღებულობ, არამედ კანცელარიაში—უთხრა დირექტორმა მისი თხოვნის მოსმენის შემდეგ.

— გვაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ ჩემმა ნაცნობებმა მასწავლეს პირდაპირ აქ მომემართა თქვენთვის.

— ჰმ!.. წაიდუდუნა დირექტორმა და ზიზღით შეხედა მის წვერ-წასიქსიქებულ წაღებს.

— რამდენათაც მე ვიცი—უთხრა მან—მამა თქვენი საკმაოთ შეძლებული კაცია და თქვენ რათ გინდათ ასეთი მცირე ჯამაგირიანი ადგილი?!

— ჩემი საქმე ჯამაგირზე არ გახლავსთ, რაც უნდა იყოს, სახელმწიფო სამსახურია.

— ეს კი, მაგრამ მე მგონია თქვენ ერთ კვირაში მოგწყინდებათ ეს ადგილი და მალე დასტოვებთ. არიან კი ისეთი მთხოვნელები, რომლებისთვისაც ეს ადგილი უკანასკნელი სახსარი იქნება თავიანთი ცხოვრებისა და...

— არა, არ მომწყინდება, თქვენო აღმატებულებავ—გააწყვეტინა პოლზუხინმა—ღმერთმანი რაც შემიძლია ვეცდები.

დირექტორმა მძიმეთ ამოიხვნეშა.

— გამიგონეთ—იქენეულათ ოდნავი ღიმილით უთხრა დირექტორმა; რატომ პირდაპირ მე არ მომმართეთ და საჭიროთ დაინახეთ ამდენი ქალების შეწუხება?

— მე არ ვიცოდი, თქვენო აღმატებულებავ, თუ ეს თქვენთვის საწყენი იქნებოდა—ცოტა დარცხვენით მიუგო პოლზუხინმა,—რაკი ასეა, თქვენო აღმატებულებავ, და თქვენ არაფერ მნიშვნელობას არ აძლევთ მაგგვარ წერილებს, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ატესტატი... —ამ სიტყვებზედ ამოიღო ჯიბიდგან ქაღალდი და მიაწოდა დირექტორს.

ატესტატზე გუბერნატორს ეწერა ხელი. ალბათ ვინმე მანდილოსნის პროტექტორობით.

— რა გაეწყობა. ვასრულებ თქვენს თხოვნას, ატესტატის წაკითხვის შემდეგ უთხრა დირექტორმა და მძიმეთ ამოიოხრა. შემოიტანეთ ხვალვე თხოვნა, რა გაეწყობა...

— პალზუხინის წასვლის შემდეგ დირექტორი ზიზღით აივსო.

— საძაგელი, სალახანა,—ბუტბუტებდა ის, და კუთხიდგან კუთხეში დადიოდა გაჯავრებული

— აისრულა წადილი, ვიღაც დედაკაცების შემწეობით მაგ სალახანა გაიძვერამ... სთქვა და ზიზღით მიაფურთხა იმ კარებს, რომელშიდაც პოლზუხინი გავიდა, მაგრამ უცებ ძალიან შეკრთა, როდესაც იმავე კარებში მოულოდნელათ შე-

მოსრიალდა მშვენივრათ ჩაცმული ქალი, სახაზინო პალატის გამგის ცოლი.

— უკაცრავათ, უკაცრავათ, მაგრამ მე მხოლოთ ერთი წამით, დაიწყო ბანოვანმა.

— დაბძანდით, ნათლიაჯან და ყური დამიგდეთ რა გითხრათ: როგორც გადმომცეს, თქვენ გაქვთ თავისუფალი ვაკანსია, თქვენთან შემოვა ერთი ახალგაზრდა ვინმე პალზუხინი... ჰიკჰიკებდა ქალბატონი. ხოლო დირექტორი კი პირ დაღებული თვალებში შესცქეროდა და მეტისმეტი ზრდილობისაგან ძალა-უნებურათ ილიმებოდა.

მეორე დღეს კი გამოცხადდა დირექტორის კანცელარიაში მასწავლებელი ვრემენსკი. დირექტორს დიდხანს ვერ გადაეწყვიტა სიმართლე ეთქვა მისთვის თუ არა. ის სწუხდა, არ იცოდა საიდგან და როგორ დაეწყო. მას უნდოდა ბოდიში მოეხადა მასწავლებლის წინაშე და რაც მოხდა ყველაფერი სიმართლით ეთქვა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა. ყურები უწიოდა, თან რცხვენოდა და სწყენდა, რომ ძალაუნებურათ ასეთი როლი უნდა ეთამაშნა თავის კანცელარიაში მისი ხელქვეითი მასწავლებლის წინაშე. მან უცებ მუშტი დაჰკრა სტოლზე, ზეზე წამოვარდა და გულმოსულმა დაიყვირა;

— არა მაქვს მე თქვენთვის ადგილი! არა მაქვსმეთქი არა! მომასვენეთ ერთი წამით, ნუ მაწვალებთ, ჩამომეხსენით, რა გინდათ ჩემგან, დამანებეთ თავი თქვენი ღვთის გულისათვის!..

სთქვა გაცხარებულმა და გავიდა კანცელარიიდგან.

სილ. თავართქილაძე.

ს უ რ ა თ ი

ძმობილო, ხელი მომეცი,
ტალახში დაცემული ვარ,
გული მოილბე, ხომ იცი,
რომ მეც ადამის შვილი ვარ!..

ჩემი სიყრმიდან მრავალ-გზის
შემისვამს ტანჯვის ფიალა;
ყველამ ხელი მკრა ამ ქვეყნად,
ცხოვრებამ გამატიალა!..

შორით ჩნდა, რასაც ვეძებდი,
მეც მისკენ მედგრათ ვიარე
და ჩემი ფიქრიც მეგობრებს
მაშინვე გავუზიარე.

დასტური მომცეს თავ-დაკვრით,
გზა დამილოცეს სავალი...
მაგრამ; ეჰ, რაღა ბევრი ვთქვა
და გავაგრძელო მრავალი,

რომ იმათ ჩემი სიწრფელე
იხმარეს იარაღადა
და მოოქვრილნი დადიან
დღეს მედიდურნი ლაღადა.

დღეს დამცა უკულმართობამ,
სასტიკათ დამჩაგრ-დამძალა...
„ქველმოქმედებას“ დავეძებ
ხელს რომ არა მაქვს სხვა ძალა!...

დ. თომაშვილი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

თაგვმა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო—ნათქვამია. სწორედ ასე მოსდის „ცნობის ფურცელს“. მან ვერც ერთ ჩვენ მიერ აღძრულ ბრალდებაზე მის წინააღმდეგ პასუხი ვერ გაგვცა, თავი ვერ გაიმართლა და აი მიუხედავათ ამ საარაკო სიჩუმისა იმან 27 თებერვლის ნომერში პასუხი გასცა უსახელო წერილების ავტორთ და ისეთი რამ გვაუწყა, რაც არ გვცოდნია და არც მოგვიფიქრებია. მას უსაყვედურებენ თურმე შემდეგს: ზდანოვიჩს ემხრობით ერთი იმიტომ რომ „ცნ. ფურცლის“ თანამშრომელი ბ. ლალი ზდანოვიჩის ნათესავიაო, ხოლო მეორე იმიტომ, რომ ზდანოვიჩის დახმარებით რედაქციამ ფული ისესხა ქუთაისის საურთიერთო ბანკიდანო. პირველ ბრალდებაზე გაზეთი არას ამბობს და უნდა ვიფიქროთ, რომ მართალია. ბ. ლალი ნათესავი ყოფილა ბ. ზდანოვიჩის და ეს გარემოება დიდ როლს უნდა თამაშობდეს ბ. ზდანოვიჩის დაცვაში. ბ. ლალი ისე უსაბუთოთ ლანძღავდა ზდანოვიჩის წინააღმდეგ შემდგარ ოპოზიციას და ისე ცარიელი სიტყვებით ადიდებდა მის ნათესავს, რომ მისი ახსნა ყოვლად შეუძლებელია რაიმე ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოსაზრებით. ჩვენ სწორედ ეს ვკითხეთ ბურჟუა-ინტელიგენციის იდეოლოგს, გვითხარით რა საბუთით ემხრობით ბ. ზდანოვიჩსთქო. მარა პასუხი ვერ მოგვცა. და აი, ახლა ვტყობილობთ, რომ ერთი ხმ საბუთთაგანი ნათესაობა ყოფილა!

სამაგიეროთ გაზეთი ცდილობს დაარღვიოს მეორე ბრალდება—„რედაქციას არასოდეს არსაიდან 20,000 მან. არ გამოუტანიაო“. მაგრამ ამას იქავე დასძენს, რომ ფული გამოიტანა გამომცემელმა ამხანაგობამ, როგორც სავაჭრო დაწესებულებამ (თუმცა არა ოცი ათასი მ.) და რასაც რედაქციასთან კავშირი არა აქვსო. ჯერ ერთი ის, რომ ამხანაგობას და რედაქციას დიდი კავშირი აქვს ერთმანეთთან. ამხანაგობის მეთაური და „ცნ. ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემელი ერთი და იგივე პირია. თუ ამ პირს ქუთაისის ბურჟუა-ინტელიგენციამ ხელი გაუმართა, ბანკიდან ფული ასესხა—ცხადია ის სამაგიეროსაც გამოელოდა და ის იყო კიდევაც მიიღო. და რომ ეს ხელის გამართვა არაჩვეულებრივი იყო—სჩანს ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის რევიზორის ანგარიშიდან. აქ რევიზორი უსაყვედურებს ბანკის გამგეთ, რომ მას არ უნდა ესესხებია ფული იმ ამხანაგობისათვის, რომელიც თფილისში იმყოფებაო და სადაც ბევრი ბანკებია და ამხანაგობის მდგომარეობაც უკეთ იციანო. ბ. ზდანოვიჩი კი ამ ბანკის რჩევის თავმჯდომარეა და იმავე დროს მეთაური მთელი ბურჟუა-ინტელიგენციის, რომლის ხელში, სხვათა შორის, ეს ბანკიცაა. ამნაირათ, „ცნ. ფურცელს“ ზდანოვიჩთან ორნაირი კავშირი ქონებია—ნათესავური და გეშეფტური.

აი რა კატა გამოთხარა „ცნ. ფუცლის“ თაგვმა და იმედია მკითხველიც მიაქცევს ამ საარაკო „საბუთებს“ ჯეროვან ყურადღებას.

შავი ქვის მრეწველთა მეხუთე კრება ქუთაისში.

წერილი მეშვიდე და უკანასკნელი *).

ჩვენ ვატყობთ, რომ საუბარი ჭიათურის მრეწველთა მეხუთე კრების გამო ძლიერ გაგვიგრძელდა, ამიტომ საჭიროა იგი ბარემ დავაბოლოვოთ. ჩვენ დაგვრჩა კრების ნამოღვაწევის დაფასება და განხილვა, მისი ნამოქმედარის საერთო ჯა-

---

*) იხ. „კვალი“ №№ 3, 4, 5, 6, 7 და 8.

მის გაკეთება. მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდეთ, საჭიროა ოპპოზიციის მოკლეთ დახასიათება, იმ ოპპოზიციის, რომელმაც ბევრი სისხლი გაუშრო როგორც ბ. ზდანოვიჩს, ისე მის დამქაშებს. თუმც ოპპოზიციამ როგორც საქმის ცოდნით და გამოცდილებით, ისე მრეწველობის საერთო ინტერესების დაცვით, საკმარისათ გამოიჩინა თავი მეხუთე კრებაზე, მაგრამ, სამწუხაროთ, პირდაპირი სარგებლობა მან ცოტა მოიტანა, მისმა მეცადინეობამ თითქმის უნაყოფოთ ჩაიარა. ამის მიზეზი მრავალია. პირველი: კრებაზე ოპპოზიციის მოწინააღმდეგე უმრავლესობა იყო, რომელიც მას ლაპარაკის ნებას არ აძლევდა; მეორე: თავმჯდომარე კრებისა თავის უფლებით ავიწროებდა ოპოზიციის მოქმედებას, ხოლო ბ ზდანოვიჩის პარტიას ყველაფერში ხელს უწყობდა. მესამე მიზეზი ოპპოზიციის მოღვაწეობის უნაყოფობისა თვით ოპპოზიციაშივე უნდა ვეძიოთ. ჩვენ ვამბობთ იმ გარემოებაზე, რომ მეხუთე კრების ოპპოზიციაში არ იყო ერთ სულობა; მისი წარმომადგენლები სამ ჯგუფათ თუ არა, ორათ მაინც გაიყოფებოდენ. თუ ჩვენ მივიღებთ ორ ჯგუფათ დაყოფას, დავინახავთ, რომ ოპპოზიციის უმრავლესობას შეადგენდენ ექსპორტერები, უმცირესობას თითო-ოროლა წვრილ მრეწველთა წარმომადგენელნი— კვალელები. აშკარაა, რომ ამ ორი ჯგუფის ოპპოზიციაში მოქცევა მხოლოდ შემთხვევითი მოვლენა იყო, ვინაიდგან არც მიმართულება და არც რაიმე იდეა მათ არ აკავშირებდა და არც აკავშირებს. შავი ქვის მრეწველთა მეხუთე კრებაზე ამ ორ სხვადასხვა ჯგუფთა შეერთება აიხსნება მხოლოდ იმ უკმაყოფილებით, რომელიც დაბადა იმათში მრეწველთა საბჭოს ყოვლად შეუფერებელმა და გამოუდეგარმა მოღვაწეობამ. ამიტომ როგორც ექსპორტერების, ისე კვალელების მიზანს კრებაზე შეადგენდა ხსენებულ საბჭოს ძირიან-ფესვიანათ დამხობა. აი ის კონკრეტული საგანი, რომლის განსახორციელებლათ შეერთდენ დროებით დასახელებული ჯგუფთა წარმომადგენელნი. თუ ექსპორტერებისათვის ბ. ზდანოვიჩის გაშავება საჭირო იყო უფრო თავის კერძო ინტერესების დასაცველათ, კვალელები საბჭოს მოქმედების გაკიცხვით და დაგმობით გზას კაფავდენ და მეცადინეობდენ სხვადასხვა კულტურული ზომების განსახორციელებლათ, რაც ასე უკუგდებულ და უარყოფილია დღემდის ჭიათურის მრეწველობაში. ვინაიდგან ორივე ჯგუფის მიზანს წინ ეღობებოდა და ეღობება მრეწველთა ძველი საბჭო, ამიტომ ორივე ჯგუფის წარმომადგენლებმა სასტიკი და შეუბრალებელი ომი გამოუცხადეს მას კრებაზე. მაგრამ ეს ომი არ იყო თანასწორი, ვინაიდგან ოპპოზიცია კრების უმცირესობას შეადგენდა, მისი ბრძანებელი ბ. ზდანოვიჩის ყურმოჭრილი უმრავლესობა იყო. გარდა ამისა ოპპოზიციის დაბრკოლება კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ მასში ისეთნი ერიენ, რომლებსაც ადგილობრივი წვრილი და შუათანა მრეწველები ძლიერ ცუდის თვალით უყურებენ. ყოველ შემთხვევაში, თუ რამე სასარგებლო ითქვა ან გაკეთდა მეხუთე კრებაზე, ეს მხოლოდ ოპპოზიციას მიეწერება. ოპპოზიცია კრების გახსნისათანავე მედგრათ შეუდგა საბჭოს მოქმედების კრიტიკას; თითქმის მთელი თავისი ძალ-ღონე მან ამ საქმეს მოანდომა, ვინაიდგან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა, რომ კრების უმრავლესობას თვალები აეხილა და თავის მდგომარეობა დაენახა. ბევრი უსაყვედურებს ოპპოზიციას, რომ მან ახალ ახალი პროექტები ვერ წარუდგინა კრებას, რომ მან ვერ შემოიტანა სხვადასხვა სასარგებლო წინადადებანიო; ეს საყვედური რამდენიმეთ მართალია, მაგრამ ამის მთქმელნი ივიწყებენ ერთ გარემოებას, სახელდობ იმას, რომ მესამე კრებაზე ბევრი სასარგებლო პროექტები და წინადადებანი იქნენ მიღებული, მაგრამ თუ რა ბედი ეწია მათ დღევანდელი საბჭოს წყალობით, ეს დღეს ყველამ კარგათ იცის. რა საჭიროა პროექტები, თუ იმათი გამხორციელებელი არ ეყოლებათ? ამიტომ გამოცდილებამ დაარწმუნა ოპპოზიციონერები, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ისეთ კაცების არჩევა საბჭოში, რომლებიც კრების გადაწყვეტილებებს არ გადუდგებოდენ და მის მონდობილებას სავსებით შეასრულებდენ. ვინიადგან ძველმა საბჭომ კრების მონდობილებანი თავისი ნებით უარყო და კრება ფიქციათ გადააქცია, საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა მისი თავიდან მოშორება. აშკარაა, თუ რისთვის გაიხადა ოპპოზიციამ თავის უპირველეს მიზნათ დღევანდელი საბჭოს გაშავება. თუ ამ მიზანს მან ოდნავაც ვერ მიაღწია, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ იგი კრებაზე უმცირესობას შეადგენდა და არა იმით, რომ იგი მართალი არ იყო. მაგრამ ოპპოზიციის კრებაზე დამარცხება სრულებით არ ნიშნავს იმ პრინციპების დამარცხებას, რომლებსაც იგი კრებაზე იცავდა ისე, როგორც ბ. ზდანოვიჩის და მისი შინაყმების გამარჯვება მათ ზნეობრივ გამარჯვებას არ მოასწავებს.

გადავავლოთ ახლა თვალი მეხუთე კრების ნამოქმედარს-განვიხილოთ თუ რამდენათ ნაყოფიერი და სასარგებლო იყო იგი ჭიათურის მრეწველობისათვის, გავიგოთ, თუ რა გააკეთა მან კერძოთ როგორც მრეწველობისათვის, ისე მუშა ხალხისათვის. განსაკუთრებით ყურადღება მივაქციოთ, თუ რა მოიმოქმედა კრებამ ჭიათურის მუშებისათვის, ვინაიდგან ამათი მდგომარეობა მეტათ გაჭირვებული და საზარელია, და ეს იმიტომ, რომ დღემდის ამათ სასარგებლოთ არავის არაფერი არ გაუკეთებია, რაც არავისთვის საიდუმლოება არ არის. მეხუთე კრების მნიშვნელობა საზოგადოთ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ სამი მხრით: 1) თვითმართველობის პრინციპის, 2) მრეწველთა და მრეწველობის საერთო ინტერესების და 3) საზოგადოებრივი ხასიათს ღონისძიებათა მიღების მხრით.

1) რაც შეეხება თვითმართველობის დედა აზრს ამ მხრით მეხუთე კრებამ მეტათ ცუდი სამსახური გაუწია თავის თავს. როგორც თვითმართველი ორგანო, მან გააუქმა თავის თავი. ეს კრებამ მოიმოქმედა მით, რომ მან უარყო საბჭოს მოღვაწეობის განხილვა და დაფასება. კრებამ, ე. ი. მისმა უმრავლესობამ, თვისი დასტურით დაკანონა საბჭოს თვითნებობა, ე. ი. წესიერათ ჩათვალა უწესობა და ვინც უწესობაზე ხმის ამოღება მოინდომა, ჩაჩუმა. არა გვგონია, რომ ყოველგვარი წესიერების ასე საჯაროთ უარყოფა საზოგადოებრივ დაწესებულებათ სრულებით დაუსჯელათ ჩაიაროს. სამწუხარო აქ ის არის, რომ თუ ვინმე დაისჯება ამისთვის, ეს მხოლოდ თვით მრეწველთა კრება, და არა სხვა ვინმე. კრებას რომ არ გაემართლებია საბჭოს თვითნებობა და სარევიზიო კომისიის და ოპპოზიციის შენიშვნები საბჭოს მოღვაწეობის შესახებ გულდასმით მოესმინა, მაშინ იგი დაამტკიცებდა, რომ მრეწველთა კრება საკმარისათ მომზადებულია თვითმართველობისათვის, და მით იგი იხსნიდა თავის თავს განსაცდელისაგან. მაგრამ არა: მან გაკიცხა და საყვედური გამოუცხადა სარევიზიო კომისიას და ოპპოზიციას და იმავე დროს საბჭოს კი მადლობა უთხრა. ამნაირათ სხვისი ცოდვა კრებამ თავის თავზე მიიღო და მისი გამართლება არა საშუალებით არ შეიძლება. ასეთი მოქმედებით მეხუთე კრებამ უღალატა თვითმართველობას და იგი ანაცვალა კერძო პირებს.

2) მრეწველთა და მრეწველობის საერთო ინტერესების სასარგებლოთაც ბევრი არაფერი გაუკეთებია მეხუთე კრებას, უმეტესი ნაწილი იმ ღონისძიებათა, რომლებიც საჭიროა საერთოთ მთელი მრეწველობის სასარგებლოთ და რომელთა შესახებ აღძრულ იქნა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, კრებისაგან არ არის დამოკიდებული, ამიტომ იმათ შესახებ ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება, თუმც დღევანდელ საბჭოს ხელში ადვილი მოსალოდნელია იმათაც ისეთი ბედი ეწიოს, რო-

გორც მესამე კრების შუამდგომლობათ. დანარჩენ მოხსენებათაგან, რომლებიც მრეწველობის პირობების გაუმჯობესობას ეხებოდენ, კრებამ მიიღო მხოლოდ მოხსენება ქიმიური ლაბორატორიის დაფუძნების შესახებ, ვინაიდგან ეს მოხსენება ბ. ზდანოვიჩისაგან იყო წარმოდგენილი, თუმც იმის განხორციელება მაინც საჩოთიროა უსაშუალობის გამო. მადნის გასარეცხი ფაბრიკის გაკეთება სრულებით უყურადღებოთ დატოვეს, ასეთი რთული საქმისთვის კრებას როდი სცალოდა. ასეთივე ბედი ეწია მადნის გადაზიდვას რკინის გზის ბაქნებზე გაუმჯობესებული საშუალებით, გარდა იმისა რომ ბ. მიხაილოვს გადაუწყვიტეს სრულათ რვა ათასი მანეთის მიცემა შეუდგენელ პროექტების ფასათ. მხოლოდ გზატკეცილების და ხიდების გასაკეთებლათ გადადო კრებამ შედარებით საკმარისი თანხა—47,000 მანეთი, მაგრამ მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენათ გამართლდება კრების იმედი, ხოლო დღევანდელი საბჭოს წარსული ამ მხრით არაფერს საიმედოს არ იძლევა. შემდეგ კრებამ მეორეჯერ დაავალა საბჭოს საავათმყოფოსათვის შენობის აგება და აგრეთვე იმ შენობის შეკეთება, რომელშიაც ამ ჟამათ მოთავსებულია საავათმყოფო, ისე რომ იქ დაიდგას ვანები და სხ., რომლის უქონლობა ასე აბრკოლებს საქმეს. ბ. ზდანოვიჩი და მისი ხელქვეითი უმრავლესობა იძულებული შეიქნენ მიეღოთ ეს წინადადება, რომელიც ოპპოზიციამ წამოაყენა კრებაზე. მაგრამ იმავე დროს კრებამ დააკანონა, რომ ჭიათურის ქსენონის ექიმს შეუძლია სრულებით არ იაროს საავადმყოფოში, და თუმც მოისურვებს, მას შეუძლია არც იცხოვროს ჭიათურაში; იმავე დროს ამ ექიმს შეუძლია 200 მანეთი იღოს თვეში კრების საშუალებიდან და საავათმყოფოს მოსამსახურეც თითონ იმსახუროს სახლში. კრებამ მოიწონა აგრეთვე ის გარემოება, რომ ქსენონში ავათმყოფებს სხვა სიკეთის გარდა მშივრებს ხოცავენ და კიდევაც იმიტომ არის, რომ ასე ბევრი იხოცება ამ საარაკო საავათმყოფოში.—ერთ-ერთი დაწესებულება, რომელსაც ყველაზე ნაკლებათ წყალობს როგორც მრეწველთა კრება, ისე მრეწველთა საბჭო და რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს მთელი მრეწველობისათვის, არის სტატისტიკური ბიურო, რომელიც არსებობს კრების საბჭოსთან აგერ ორი წელიწადია. სტატისტიკურ მასალას ძლიერ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კითხვების გადაწყვეტის დროს, მრეწველობის სხვადასხვა მხარეების გამოსარკვევათ და გასაგებათ; ზოგიერთი კითხვების გადაწყვეტა კი სრულებით შეუძლებელია ასეთი მასალის უქონლობის გამო. მაგრამ გარდა ამისა მრეწველობას ცოტათ თუ ბევრათ საფუძვლიან სტატისტიკას წმინდა მეცნიერული მნიშვნელობაც აქვს; სტატისტიკური შრომა საფუძვლათ ედება სხვადასხვა რთულ სოციალურ ხასიათის კითხვების ახსნა-განმარტებას. შავი-ქვის მრეწველობის სტატისტიკასაც აქვს არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა, არამედ მეცნიერულიც იმის მიხედვით, თუ რამდენათ მკვიდრ ნიადაგზე იქნება დაყარებული ეს სტატისტიკა. სამწუხაროთ სტატისტიკური ბიუროს დაარსება მრეწველთა საბჭოსთან მხოლოდ ფორმის გულისათვის მოხდა და არა საქმის გასაკეთებლათ. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ საქმის ინიციატორი თვით ბ. ზდანოვიჩი ბრძანდებოდა. ამ ვაჟბატონმა სტატისტიკურ ბიუროსაც ის საქმე წაკიდა, რაც მრეწველთა კრების თვითმართველობას. ყოველგან, სადაც კი ამ გვარი დაწესებულება არსებობს, იმას განსაზღვრული ორგანიზაცია და პროგრამა აქვს, როგორც ნედლი სტატისტიკური მასალის შესაგროვებლათ, ისე ამ მასალის დასამუშავებლათ. მესამე კრებამ სტატისტიკური ბიუროს მოწყობა მიანდო ბ. ზდანოვიჩს, მაგრამ მან არ აღირსა ამ სასარგებლო დაწესებულებას არავითარი ორგანიზაცია – თავის თავათ ხომ ეს ვერ გაჩნდებოდა. თუმცა სტატისტიკური ბიურო არსებობს, მაგრამ მას არა ყავს გამგე, არა აქვს არავითარი ორგანიზაცია და, როგორც ჩანს, იგი არავითარ ცნობებს არ აგროვებს, არამედ კმაყოფილდება იმით, რასაც ბ. ზდანოვიჩი – რკინის გზის ტეხნიკი, დამოუნა და სამთო გამგეობა. ეს ცნობები კი სრულებით საკმარისი არ არის ადგილობრივი მრეწველობის შესასწავლათ. მოსალოდნელი იყო, რომ მრეწველთა კრება დაინახავდა სტატისტიკურ ბიუროს მოქმედების გაფართოებას მიუცილებელ საჭიროებათ, მაგრამ კრების ბატონი ხომ ბ. ზდანოვიჩის პარტია იყო, და ეს უკანასკნელი ხომ მის წინააღმდეგ არ წავიდოდა. და მართლაც სტატისტიკური ბიურო კიდევ უფრო შეავიწროა მეხუთე კრებამ, ვინემ იგი აქამდის იყო, გარდა იმისა, რომ ჯამაგირი გაუდიდეს საზღვარგარეთელ აგენტს, ალბათ იმიტომ, რომ ზოგიერთები მისგან სხვადასხვა კომერციულ კორესპონდენციებს ღებულობენ, რომელთაც სტატისტიკასთან სრულებით არავითარი კავშირი არა აქვთ. და ასე იქცევოდა კრება ყოველთვის, როცა კერძო მრეწველთა ინტერესები ამას თხოულობდენ. თუ ბ. ზდ ნოვიჩისთვის და პ. წულუკიძისთვის საინტერესო იყო საზღვარგარეთელი აგენტისთვის ჯამაგირის მომატება კრების საერთო საშუალებიდგან, კერძო მრეწველთათვის მეტათ სასარგებლო იყო მადნების გეგმის და რუქების გადაღება; ყველა მრეწველი არათუ ვალდებულია, არამედ იძულებულიც არის, ესეთი გეგმა და რუქანი იქონიოს, და იმას რაღა ემჯობინება, თუ ეს საერთო თანხიდან შეუძლია იქონიოს. თუმც ბ-მა ზდანოვიჩმა ამ შემთხვევაში არაჩვეულებრივი წინააღმდეგობა გაუწია მრეწველთა უმრავლესობის გაუმაძღრობას—თითქმის ყოველივე კერძო მოთხოვნილება საერთო თანხიდან დაიკმაყოფილონ—ალბათ იმიტომ, რომ თავისთვის იმზადებდა, მაგრამ უმრავლესობამ ეს მას აღარ დაუთმო, ჩვენც კაცები ვართ, ჩვენც კარგა ვიცით საზოგადო თანხის კერძო საქმეებისათვის მოხმარაო, და ექვსი ათასი მანეთი გამოგლიჯეს ხელიდან ბ. ზდანოვიჩს თავის კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლათ.

3) საზოგადოებრივი ხასიათის ღონისძიებანი ორ ჯგუფათ გაიყოფება: ერთი მხრით მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა და მეორე მხრით სწავლა-განათლების საქმე და სხვადასხვა ქველმოქმედ დაწესებულებათა და კერძო პირთათვის დახმარების აღმოჩენა. კრება არ შეიძლებოდა არ შეხებოდა მუშათა მდგომარეობას ჭიათურის სამრეწველო რაიონში, მაგრამ ეს რომ უნაყოფოთ ჩაივლიდა, ეს წინდაწინ ვიცოდით. ერთათ ერთი ღონისძიება, რომელიც მუშა ხალხის სასარგებლოთ იქმნა მიღებული, ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია, მხოლოთ ქაღალდზე, არის მუშებისათვის კაზარმების გაკეთება, რისთვისაც კრებამ გაიმეტა 10,000 მანეთი. მაგრამ კრებამ უარყო იაფ-ფასიანი სასადილოების გამართვა, უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის წესის შეცვლა და პირველ დაწყებითი სკოლების დაარსება, – ყოველივე ეს უსაშვალობის გამო. რაც შეეხება სამუშაო დღის მოწესრიგების საქმეს, შრომის ჰიგიენური პირობების გაუმჯობესობას, ქალების და ბავშების მუშაობას მადნებში, და საზოგადოთ მადნის მუშების მდგომარეობის შესწავლას, — ყოველივე სულ უყურადღებოთ დარჩა; და ან კი ვინ შეიწუხებდა ამისთვის თავს, ეს ვის რათ ეჭირვებოდა. როცა მუშების მდგომარეობაზე ლაპარაკობდენ, ჩალანდრები სრულებით არავის არ გახსენებია, ვითომც ისინი მუშების რიცხვში არც ითვლებოდენ და ან მათი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი არ იყოს, ვინემ მადნებში მომუშავეთა. ამნაირათ მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ კრებას არავითარი საშუალება არ მიუღია, თუმც მის პროგრამაში გამოჭიმული იყო ეს კითხვა ორ მუხლში (§ § 22 და 24).

მეხუთე კრებამ სწავლა-განათლების და სხვადასხვა გვარ დახმარებათა აღმოჩენითაც ისახელა თავი. აქამდის ჭიათურის სამრეწველო რაიონში ერთი სკოლაც არ არის, რომელიც მრეწველთა კრების მიერ იყოს დაარსებული და რომელსაც იგი ინახავდეს. რა ეშველებოდა მრეწველთა კრებას, რომ იმის სამფლობელოში სასულიერო მთავრობას ერთი წერა-კითხვის სკოლა არ დაეარსებია (ჭიათურის სამრევლო სკოლა). ბარაქალა შავი ქვის მრეწველებო! ტყუილათ კი არ აურჩევიათ მათ თავის მოთავეთ ისეთი განათლებული პირი, როგორიც ბრძანდება ბ. ზდანოვიჩი! მეხუთე კრების ჩხირკედელაობა სწავლის თაობაზე იმით დამთავრდა, რომ 2,000 მანეთი გადადვეს სამოქალაქო სასწავლებლის გახსნისთვის ჭიათურაში. სამაგიეროთ მეხუთე კრებამ სამარადისოთ აღნიშნა თავის კაცთ-მოყვარეობა. აქამდი მრეწველთა კრების სტიპენდიები ეძლეოდა ყველას, განურჩევლათ იმისა, მარგანეცის მრეწველის შვილი იქნებოდა იგი, თუ სხვა ვინმე. მეხუთე კრებამ ეს შეზღუდა: ჩვენი ფული ისევ ჩვენ შვილებს და ნათესავებს მოხმარდესო. გესმით? ჩვენი ფულიო! ამიერიდან აშკარაა, რომ მრეწველებს სტიპენდიები მხოლოდ თავისთვის დაუნიშნავთ, ე. ი. თუ ორიოდე გროში გამოიმეტეს ღარიბ შეგირდების აღსაზდელათ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისევ თავის ჯიბეში ჩაედვათ. ამნაირმა ვიწრო ეგოისტურმა ლოღიკამ კრების უმავლესობა იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ არც ერთი გროში ვისმეს „ჩვენი ფულებიდანო“! და მართლაც უარი უთხრეს ყველა საქველმოქმედო დაწესებულებათ, რომლებიც საზოგადო საქმეს ემსახურებიან, როგორც, მაგ., წერა-კითხვის საზოგადოებას, სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას, ქუთაისის სახალხო ბიბლიოთეკას, სახალხო თეატრის კომისიას (იქავე) და სხ., და აგრეთვე კერძო პირებსაც, როგორც, მაგ. ვლ. მესხიშვილს და სხვ. ამის შესახებ სწორეთ ხერხიანათ მოიქცენ. ყველა ამ შუამდგომლობათა განხილვას მაშინ შეუდგენ, როცა ხარჯთაღრიცხვის განხილვა გაათავეს და დაამტკიცეს. ხარჯები ძლივს დაფარეს შემოსავლით, და ისიც დეფიციტით. და აი გამოაცხადეს გულმტკივნეულათ: ჩვენ ძალიანაც გვსურს ყველა ამ შუამდგომლობათა დაკმაყოფილებაო, მაგრამ სახსარი არ გვაქვს და ნურას უკაცრავათო: ყველაფერი ჩანთქა გველეშაპმა-აბანომ და საბჭომო! და მართლაც, აბანოს რომ თავი დავანებოთ, და ჭიათურის მრეწველთა საბჭოს ზოგიერთი ხარჯები რომ შევადაროთ თუნდ, მაგ., სამხრეთ-რუსეთის მადნეულობის მრეწველთა საბჭოს თანაბარ ხარჯებთან, ჩვენ დავინახავთ:

	ჭიათურის მრეწ. საბჭო *)		სამხრ. რუსეთის მრეწ. საბჭო **)
საბჭოს თავმჯდომარეს	4,000 მან.	—	3,000 მან.
მის მოადგილეს . . .	1,000 „	—	1,200 „
მდივანს	1,200 „	—	1,500 „
ბუხგალტერს . . .	1,600 „	—	2,400 „
მოსამსახურეებს, ტელ., სტატისტიკ. ბიურ. გამგეს	1,500 „	—	3,000 „
ფოშტ., კანცელარ. და წვრილი ხარჯები . .	2,880 „	—	2,600 „
მისვლა-მოსვლა . . .	3,000 „	—	1,200 „
კანტორის გამგეს . .	2,000 „	—	— „
წარმომადგენელს პეტერბ.	600 „	—	— „
მოულოდნელი ხარჯები	5,000 „	—	3,000 „

რომ ამ ციფირების მნიშვნელობა გავიგოთ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჭიათურის მრეწველთა მთელი წლიური ხარჯი ორჯერ უფრო ნაკლებია სამხრეთ რუსეთის მრეწველთა საბჭოსაზე და შემოსავალი კიდევ ერთი სამათ. [illegible]სა ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე იღებს წელიწადში 4,000 მანეთს და სამხრეთ-რუსეთის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე კი მხოლოთ 3,000 მანეთს. შეიძლება გვიპასუხონ, რომ შეიძლება ბ. ავდაკოვი ბ. ზდანოვიჩზე ნაკლებს მუშაობს საბჭოს საქმეებისთვის, რომ იგი გარდა ამისა, როგორც ვიცით, კერძო საზოგადოების დირექტორიც არისო. მაგრამ ამის მთქმელმა ნუ თუ არ იცის, რომ ბ. ზდანოვიჩი იმავე დროს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, გარდა მრეწველთა საბჭოისა სამი კერძო კომერციული საქმის მოთავეა: იგია თავმჯდომარე „შავი ქვის“ საზოგადოების და ქუთაისის წყლისაყვანის საზოგადოებისა; გარდა ამისა იგი ითვლება, როგორც ვექილი ერთ და იმავე დროს ბ. რაბპოვიჩის და მისი კონტრაგენტებისა ტყვარჩალის საქმეში. და ამის შემდეგ ნუ თუ დასაჯერებელია, რომ ბ. ზდანოვიჩი საბჭოსთვის უფრო მეტ დროს ხარჯავს და მეტ საქმეს აკეთებს, ვინემ ბ. ავდაკოვი? მისმა მოღვაწეობის განხილვამ, როგორც საბჭოს თავმჯდომარისა, ჩვენ დაგვანახვა, თუ რამდენათ უსაფუძვლოა ეს აზრი. სამაგიეროთ ჩვენი საბჭო ნაკლებ ჯილდოს აძლევს დანარჩენ მოსამსახურეთ: მდივანს, ბუხგალტერს და სტატ. ბიუროს გამგეს და მით გვეუბნება, რომ მას მხოლოდ ერთადერთი სათაყვანებელი პირი ჰყავს, ეს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ვერც ერთი ხორციელი ადამიანი ვერ მიუახლოვდება. იმავე დროს საბჭოს წევრების სამგზავროთ ჩვენი საბჭო ხარჯავს წელიწადში 1,800 მანეთით მეტს, ვინემ სამხრეთ-რუსეთისა, რაც ალბათ, იმით აიხსნება, რომ ქუთაისის ტალახიან და მტვრიან ქუჩებზე ფეხით სიარული სასიამოვნო არ ყოფილა, მით უფრო, რომ ეს კრების ხარჯზე შეძლებულა, რის გამომჟღავნებამ მეტათ შეაშფოთა ბ. ზდანოვიჩი. შემდეგ გარდა იმისა, რომ მოულოდნელი და სხვადასხვა წვრილი ხარჯები ჩვენს საბჭოს 2,200 მანეთით მეტი აქვს, ვინემ სამხრეთ-რუსეთისას, თუმც საერთო ხარჯების კვალობაზე ეს ასე არ უნდა იყოს, მას ორი ისეთი თანამდებობა დაუარსებია კანცელარიაში, რომელიც სამხრეთ-რუსეთის მრეწველთა საბჭომ სრულებით არ იცის: ეს საბჭოს კანტორის გამგე 2,000 მანეთი ჯამაგირით წელიწადში და პეტერბურგში წარმომადგენელი—600 მანეთი. არა გვგონია, რომ სამხრეთ-რუსეთის მრეწველთა კრების საქმეები, რომელიც სამჯერ მეტს ხარჯავს წელიწადში, უფრო მარტივ და ნაკლებ შრომას მოითხოვდენ, ვინემ ადგილობრივ მრეწველთა კრების საქმეები. რა თქმა უნდა, სადაც ასეთი გაუმაძღრობა სუფევს, სადაც ყველა იმაზე ფიქრობს, რომ რაც შეიძლება მეტი ჩამოთალოს საზოგადო დუმას, იქ საზოგადოებრივი ხასიათის მიზნისათვის რაღა უნდა დარჩეს. და აი სწორეთ ამას ვხედავთ ჭიათურის მრეწველთა კრებაზე და მის საბჭოში, რომელსაც თავზე აზის ბ. ზდანოვიჩი, რომელიც სიტყვით დიდი გულაშარია და საქმით-კი გაუმაძღარი.

ამნაირათ იქიდან, რაც ჩვენ ვთქვით მრეწველთა მეხუთე კრების თაობაზე, შემდეგი დასკვნა გამოდის:

1, კრების უმრავლესობამ შელახა თვითმართველობის პრინციპი და კრება, როგორც თვითმართველი ორგანო, თითქმის სრულებით გააუქმა;

2) მრეწველობის და მრეწველთა საერთო საქმეების მოსაწყობათ მან არსებითათ ვერაფერი ვერ გააკეთა; და

3) რაც შეეხება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებათა მიღებას, მეხუთე კრებამ სულ მთლათ შეირცხვინა თავი.

გარეშე მეთვალყურე

---

*) ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წლისთვის.

**) ხარჯთ აღრიცხვა 1902 წლისთვის (იხ. Труды XXVI съѣзда горнопр. Юга Россіи, ч. I.).

ᲕᲔᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

მკითხველს ეხსომება, რომ შარშან ივლისში გორის მაზრაში, სოფ. ხოფლეში გლეხებმა მოკლეს ადგილობრივი მემამულე თ. ს. ვეზირიშვილი. ეს საქმე გაირჩია გასულ კვირაში სასამართლომ, სადაც „ცნ. ფურ.“ სიტყვით გამოირკვა შემდეგი:

გამოძიების ბირველ დღიდანვე ამ მკვლელობაში ეჭვი უდიათ სანდრო, მაქსიმე და კიკლა კოკიჩაშვილებზე, რომელნიც თავ. ვეზირიშვილის მამულში ხიზნებათ იყვენ. ბირველს იჯარით ქონია 15 დესეტინა მიწა, მეორეს 20 და მესამეს 30. კოკიჩაშვილებს უსიამოვნება და დავა ქონიათ ვეზირიშვილთან ადგილების გამო. ეს დავა მაშინაც იყო თურმე, როცა ჯერ კიდევ გაუთავებელი ქონდათ მამული თავ. სიმონსა და იმის ძმას გიორგის, რომელიც 1894 წლიდან 1901 წლამდე ამ მამულების საქმეებს განაგებდა თურმე. კლეხებსა და თავადს შორის უსიამოვნება იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ვეზირიშვილებს და, განსაკუთრნბით მოკლულს თ. სიმონს, მოუნდომებიათ მამულებზე სიჯარო ფულის მომატება. კლეხები ეთანხმებოდნენ საშუალებას ხმარობდენ, რომ თავადებს მათთვის სიჯარო ფული არ მოემატებიათ. საქმე ეგრე გაგრძელდა 1902 წლამდე, როდესაც თავ. ს. ვეზირიშვილმა სასამართლოს წესით მოინდომა კოკიჩაშვილების გადასახლება. ვეზირიშვილს საქმე კიდევ მოუგია, 1902 წლის 16 მაისს გორის მომრიგებელ მოსამართლის გადწყვეტილება აუღია და შესდგომია კლეხების გადასახლების საქმეს. ჯერ საქმის განხორციელება არ დაეწყო ვეზირიშვილს, რომ იმის მოურავს ადუაშვილს ჯიბრაილ კოკიჩაშვილი დამუქრებია: „ნახავთ, ვერც შენ და ვერც ის (ე. ი. თავ. ს. ვეზირიშვილი) ცოცხალი ვერ გადარჩებით“-ო. ამ მუქარას ძალიან შეუფიქრიანებია თავ. ვეზირიშვილი და 1902 წელს ადნიშნულ სოფლებში ფულის მოკრეფის დროს ბოქაულ კოკოხიასთვის უთხოვნია, დარაჯი გაეყოლებინა. კოკოხიას აუსრულებია და ერთი შეიარადებული დარაჯი გაუყოლებია. მოწმეთა ჩვენებით, ვეზირიშვილი ამ მუქარის შემდეგ იმდენათ ფრთხილობდა, რომ შეიარადებული მცველი მოუშორებლათ უკან დასდევდა თურმე. მკვლელობის წინა დღეს თავ. ვეზირიშვილს საქმე სდომებია მორიგებით გაუთავებინა, რისთვისაც მოუწვევია მაქსიმე კოკიჩაშვილი და უთქვამს, „შეგრიგდეთ, თანხმა ჰართ თუ არა სიჯარო ფულათ 50 მან. მაძლიოთო“. ამ ცდას ნაყოფი ვერ გამოუღია, რადგან მაქსიმე კოკიჩაშვილს გადწყვეტილი უარი გამოუცხადებია: „ვერა, თავადო, 20 მან. მეტი არ შემიძლიაო“.

უკვლა ამის გამო ბოქაულ კოკოხიას დაუპატიმრებია ზემოთ ადნიშნული კოკიჩაშვილები.

2 აგვისტოს ჯიბრაილ კოკიჩაშვილს სიკვდილოთ უთქვამს, რომ თავ. ვეზირიშვილის მკვლელები კიკლა და სანდრო კოკიჩაშვილები არიან, რომ მოხუცი მაქსიმე კოკიჩაშვილი და იმის შვილი კიკლა ძალიან გ-ჯავრებულნი არიან სიჯარო ფულის მომატებით და თავადის ბრძანებით, რომ ადგილები დაეტოვათ და სხვაკან წასულიყვენ. კიკლამ გადასწყვიტა ვეზირიშვილის მოკვლა და ამისათვის დაიყოლია სანდრო, რომელმაც დასტყუა ჩემ შვილს მაქსოს „თოფი სხვა საქმისათვის და მაკას კი კაცის მოკვლა ნდომებოდა. ეს თოფი რამდენიმე დღით დაუტოვებია იქ ვიღაც სარიბეკოვს. კიკლა და სანდრო ჩასესხერენ თავ. სიმონ ვეზირიშვილს და მოკლეს იგი.

მაქსიმე, კიკლა და სანდრო ბასუსისკენაში იქნენ მიტყმული როგორც მკვლელნი, ხოლო მოხუცი მაქსიმე და ჯიბრაილი,—როგორც წამქეზებელნი და ხელმძღვანელნი.

დაპატიმრების შემდეგ სანდრო კოკიჩაშვილმა განაცხადა: მე განვიზრახე თავ. ვეზირიშვილის მოკვლა და შევასრულე კიდეც ეს განზრახვა. მკვლელობაში მონაწილობა მიიღო კიკლა კოკიჩაშვილმა. ამისათვის ჩვენ არავის წაგუქეზებიგართ და არავისაც მონაწილეობა არ მიუღია მე და კიკლას მეტს. თოფი მე კამოვართვი მაქსიმეს, რომელმაც არც კი იცოდა რისთვის წამოვიღეო. ესეგე განაცხადა კიკლა კოკიჩაშვილმაც. სხვათა შორის, გამოძიების დროს იმან თქვა, რომ ჩემი ნათქვამი—ვითომც მაქსიმესაც მონაწილობა მიეღოს და ისიც ჩვენთან ჩასათრებული ყოფილიყოს, სამართლეს მოკლებულია. მაქსიმე კოკიჩაშვილს (ბატარას) განუცხადებია, რომ მე საქმეში არავითარი მონაწილობა არ მიმიღია. ეს ორი ეკლესიის დაჯერის დღემდე, რა ჩაიდინეს სანდრო და კიკლა კოკიჩაშვილებმა. თოფი სანდრო კოკიჩაშვილმა ითხოვა ჩემგან; თოფი, რომელიც დროებით სარიბეკოვმა დამიტოვა, სანდრომ იმიტომ წაიღო ჩემგან, რომ იმას ცხვრის ფარის მწყემსობის დროს თავი დაეფარა მგლებისა და დათვებისაგანო. ბრალდებულთ ჯიბრაილ და მოხუც მაქსიმე კოკიჩაშვილებს განუცხადებიათ, რომ იმათ არავითარი ხელმძღვანელობა არ გაუწევიათ კიკლასა და სანდროსათვის. სხვათა შორის, ჯიბრაილს უთქვამს, ვეზირიშვილის მოკვლა შემდეგ შევიტყვე და იმავე დღეს ამ საქმის შესახებ ბოქაულს შევატყობინეო. 130 მან. იმიტომ მივეცი ბოქაულს სანდროს და კიკლას მაგიერ, რომ იმათ არ ჩაგეტანეთ საქმეში და ბოქაულს საქმე სისწორით ეწარმოებიაო. დაახლოვებით მაქსიმე კოკიჩაშვილსაც ესევე განუცხადებია.

გორში 24 თებერვალს ამ საქმის გარჩევას დიდძალი საზოგადოება მიაწყდა, საქმის გამოძიებამ სასამართლოში გასტანა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე, შემდეგ სხდომა შეწყვეტილ იქმნა საღამოს 7 საათამდე. როგორც გამოძიების დროსაც, სასამართლოში ორი ბრალდებული გამოტყდა—კიკლა და სანდრო კოკიჩაშვილები. განაცხადეს, ამ საქმეში ცოდვას ვერავისას დავიდებთ, ჩვენს მეტს არავის არაფერი ბრალი არა აქვს. ჩვენც სინანულში ვართ ამის ჩადენისათვის, მაგრამ სხვა გზა არა გვქონდაო. დანარჩენ ბრალდებულთ—ჯიბრაილ, მაქსო კიორგის ძე და მაქსო ჯიბრაილის ძე კოკიჩაშვილებს უთქვამთ, ჩვენ ამ საქმეში დამნაშავენი არა ვართო. სხვათა შორის, როდესაც შეეკითხენ, ქრთამს 400 მან. რათ აძლევდით ბოქაულსაო, იმათ განაცხადეს: ბოქაულმა კოკოხიამ მეტათ შეგვაწუხოვა, გვითხრა, გამოტყდით, მოწმეები მეყვანან, რომელთაც უნახიხართ ჩასათრებულ ადგილსაო. გვეგონა, მართლა ასეთ მოწმეთა ჩვენებით დავიდუპებოდით, ამიტომ მოვინდომეთ კოკოხიასათვის ქრთამის მიცემა, რომ საქმე სამართლით ეწარმოვებია და ტყვეა-უბრალოთ არ დავსჯილიყავითო. საღამოს, სასამართლოს სხდომის დაწყებისას, ადვოკატებმა ბრალმდებელმა და მომჩივნის ინტერესების დამცველმა ნოე. ფეიდმა თავ. მაჩაბელმა, რომელმაც ითხოვა დასჯა ბრალდებულთა და იმის მარწმუნებლის სასარგებლოთ 20.000 მან. გადახდევინება.

სასამართლომ დამნაშავეთ იცნა მხოლოდ კიკლა მაქსიმეს ძე და სანდრო ზაქარიას ძე კოკიჩაშვილები; მიესაჯათ იმათ ოთხელ-ოთხელ უფლების ჩამორთმევა და თითოს 12 წლით კატორგაში გაგზავნა. ჯიბრაილ, მაქსიმე კიორგის ძე და მაქსიმე ჯიბრაილის ძე კოკიჩაშვილები უდანაშაულოთ იცნო სასამართლომ. სამოქალაქო მომჩივნის წარმომადგენელს 20.000 მან. გადახდევინებაზე უარი გამოუცხადა. ბრალმდებლის ამხანაგმა ადვოკატ-დანიელევსკიმ პროტესტი გამოაცხადა და საქმე პალატაში უნდა განსაჩიგრონ. იგი უდანაშაულოთ ცნობილ ბრალდებულთა დასჯას თხოულობს.

ქუთაისი. სამეურნეო საზოგადოების საქმეები.

ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებამ თავის არსებობის სიფხიზლის ხანაში დაიარსა ქუთაისში დაბალი სამეურნეო სასწავლებელი. დღიდან დაარსებისა შკოლამ ბევრნაირ განსაცდელი გამოიარა, როგორც საპედაგოგიო, ისე ნივთიერი, სამეურნეო ნაწილში. შკოლაზე ძალე გაუცივდათ გული მის პირვანდელ მფარველ-მზრუნველებს და დღეს ასეთები მას თითქმის სულ შემოლევია, რის გამოც მას თვისი პირვანდელი უფლებებიც კი ეცლება ნელ-ნელა ხელიდან. როგორც უკვე გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, სახელმწიფო ქონებათა ახლად დანიშნულ მართველს მ. თ. სნეგირიოვს,

სამინისტროსაგან ცირკულიარი მიუღია, რომლის ძალითაც ის ან მისი თანაშემწე უნდა იყოს ამიერიდან შკოლის პირდაპირი მეთვალყურე.

მაგრამ „ქუთაისის განყოფილებას“ მარტო ხსენებულ შკოლაზე არ გაცივებია გული. იგი გუბერნიის სხვა საეკონომიო საკითხებსაც აღარ აქცევს ყურადღებას. მთელ რუსეთში სამეურნეო საზოგადოებები ცხოვრებაში და მწერლები პრესაში დაინტერესებულნი არიან სასოფლო-სამრეწველო საჭიროებათა კითხვების გამორკვევაში, ამისათვის საგუბერნიო კომიტეტებიც კი არსებობენ, ქუთათური „განყოფილებისათვის“ კი ეს აინუნში მოსასვლელიც არ არის. მისმა ასეთმა უმოქმედობამ 17 თებერვლის კრებაზე შკოლის ერთ მეურნეთაგანს შემდეგი მკაცრი სიტყვები წარმოათქმევინა ამათ ადრესზე: რადგან „ქუთაისის განყოფილებას“ არაფერი არ გაუკეთებია სასოფლო მეურნეობის საჭირ-ბოროტო კითხვების გამოსარკვევათ, რომელთ შესახებ თათბირი ქონდა საგუბერნიო კომიტეტს, გამოვუცხადოთ მას მწუხარება ასეთი უმოქმედობისათვისო“ და ეს საყვედური სრულიათ სამართლიანი იყო. მოხელე უჩინოს კი „განყოფილების“ ასეთ მდგომარეობაში მაინც უკვირდა, რატომ თფილისის სამეურნეო საზოგადოება, რომლის განყოფილებასაც ჩვენ შევადგენთ, წინანდებურ-ათ თავიანთ 6,000 მან. თანხიდან 500 მან. ჩვენ არ გვაძლევსო.

მაგრამ საქმე როცა სხვისი მოქმედების კრიტიკაზე მიდგა, აქ ყველამ ერთხმათ აღიარეს, რომ თურმე ის სხვაც ქუთათურ უმოქმედობით ყოფილა შეპყრობილი. მერე ვინ? მეურნეთა უფროსი ძმები თფილელნი და ამათში „რუსეთის მებაღეობის კავკასიის განყოფილება“. ამათი ბრალდება გამოფენების საკითხს შეეხებოდა. ხსენებულ საზოგადოებას წინანდებურათ განუზრახავს მებაღეობის გამოფენები გამართოს ქუთაისის გუბერნიაში და ამაზე საჭირო შუამდგომლობაც აღუძრავს, სხვათა შორის, ქუთაისის გუბერნატორთანაც, რომელსაც იმის გადაწყვეტა „განყოფილებისათვის“ მოენდო. წარსულის გამოცდილებით ნახელმძღვანელებმა წევრებმა თფილელთა სახელდახელოთ გამართულ გამოფენებს ეჭვის თვალით შეხედეს. წვრილმან გამოფენებს, როგორც, მაგ., სამი საათის გამოფენა იყო ქუთაისის საქალაქო სასწავლებელში შარშანო, თქვა მოხელე აგრონომ უჩინომ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. არც არავითარი სისტემა, არც არავითარი ახსნა-დარიგება, არც არავითარი მონაწილეობა სოფლელ მეურნეებისა, რომელთა საყურადღებოთ ისინი უნდა იმართებოდენ ამ გვარ გამოფენებს არ ამკობენ. მოთავენი იმისათვის მართავენ იმათ, რომ „Отчетъ“-ებში აღნიშნონ: ამდენი და ამდენი გამოფენები გავმართეთო და ამით, დავუმატებთ ჩვენ, სოფლის მეურნეს თუ არა ეცხება რა, მოხელეს ხომ კაბინეტურ სიამოვნებას გვრის და თავის წინმსვლელობის გზაზე ერთი საფეხურით წინ წევს და ჩვენ ბიუროკრატიულ დროში ესეც განა საკმარისი არაა!..

ამგვარის კრიტიკით წინ წამძღვარებულებმა თფილელთაც ნება დართეს გამართონ გამოფენა და თავიანთ თავსაც ნება მისცეს სამეურნეო შკოლის ათი წლის არსებობის გამო გამართონ საიუბილეო სამეურნეო გამოფენა, მხოლოდ ამაზედ დაწვრილებით მოლაპარაკება შემდეგი კრებისათვის გადადვეს, რადგან ამ კრებას ათამდი წევრის მეტი არ დაესწრო.

მაგრამ ნ. კურნალი ამას არ დასჯერდა და წინადადება შემოიტანა, გინდათ თუ არა, ქათმების საჩვენებელი და მოძრავი გამოფენები უნდა გავმართოთ ქუთაისსა და სამტრედიაშიო. როცა თავმჯდომარე ბ. სნეგირიოვმა კითხვა დააყენა: „არის თუ არა ობიექტი ასეთ გამოფენისათვის ქუთაისში“, წევრებმა ეს საკითხი უფრო გააზოგადეს და უპასუხეს, რომ ქათმების, ფრინველების მოშენებას ქუთაისის გუბერნიაში დიდი ხნიდან აქვს უპირატესობა სახალხო მეურნეობაში და მის განვითარებას უნდა ვეცადოთო. ექიმმა დ. ნაზაროვმა [illegible] კი განაცხადა, რომ თფილისის გუბერნიაში მექათმეობამ სამრეწველო, კომერციული ხასიათი მიიღო და ყველას განსაცვიფრებლათ ისიც კი დაუმატა, რომ თვით ილია ჭავჭავაძეს საგურამოში ათასამდი ქათმები ყავს, იმათთვის საავათმყოფო აქვს და საზღვარ გარეთიდან ექიმიც ყავს მოწვეული. ამასვე ვხედავთ სხვების მეურნეობაში და მაშასადამე „ობიექტი“ ქუთაისის გუბერნიაში კიდევ უკეთესიაო. გამოჩენილ მექათმე აბოზინმა ლონდონიდან ორი 800 მ ნ. კოხინხინის ჯიშის ქათამი მოიყვანა, დაუმატა ამას კურნალმა და იმის კვერცხებით, რომლებსაც თითოს მან. ყიდის, ცხოვრობს მოსკოვში. ამნაირათ საერთო „ობიექტი“ მექათმეობისათვის განყოფილების წევრებმა უტყუარი გამონახეს, ხოლო ქუთაისის სამეურნეო შკოლისათვის ამნაირ „ობიექტს“ ვერ მიაგნეს და ვერა. იქით უტრიალეს მას, აქეთ უტრიალეს, მაგრამ მის საქათმეში ერთი ჩვენებური ვარიაც ვეღარ ნახეს და კითხვა დაიწყეს: რა უყავით დღემდი რომ გუდანი, კოხინხინა და სხ. ჯიშის ქათმები ყავდა შკოლასო? პასუხი: ბოროტი ენების გადმოცემით იმათ აქაურ მეურნეობაში ვერ იხეირეს, ხოლო ნ. კურნა_ის განცხადებით, ისინი სოფლებში უნდა იყოს დარიგებული, რადგან ქუთათურებს, სადაც „ჩინოვნიკობაა“, ისინი რათ ესაჭიროებოდაო „განყოფილებამ“ დღეს დაავალა ბ. კურნალს სამაგალითო „ობიექტი“ ქუთაისის შკოლაშივე იყოლიოს და დაიბაროს ის 150 ქათმები, რომლებიც აქაურ განყოფილებისათვის მოსკოვის ფრინველების მომშენებელ საზოგადოებას უჩუქნია. ბოლოს ქათმების გამოფენაც სასურველათ ცნეს და დასთანხმდენ კურნალის წინადადებას.

მხოლოდ ვერ დაითანხმა ბ. კურნალმა განყოფილების წევრები „საგუბერნიო კომიტეტებში“ აღძრული და უკვე გადაწყვეტილი ზოგიერთი საკითხები ხელახლა გადაესინჯათ „სამეურ. განყოფილებაში“. ასეთ კითხვებათ წარმოადგინა მან ტარიფის დაკლება სამეურნეო საგნებზე, განსაკუთრებული ვაგონების შემოღება და, რაც უფრო მას გულს წვავდა: სახალხო შკოლების მასწავლებლების როლი სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეში. თფილისში როგორც სამ. საზოგადოების, ისე საგუბერნიო კომიტეტებში შეუძლებლათ ცნეს დააკისრონ სამეურნეო ცოდნის გავრცელება სახალხო შკოლებს და მის მასწავლებლებს, რადგან მათ ამისათვის არც ცოდნა-გამოცდილება აქვთ, არც დრო და მაშასადამე ეს თავიანთ პირდაპირ მოვალეობის ხელის შეშლა იქნებაო. ამავე აზრს დაადგა ქუთ. საგუბერნიო კომიტეტიც, მხოლოდ კურნალი, თავის და ორიოდ-სამიოდ მასწავლებლების გამოცდილებაზე დამყარებული ამტკიცებს წინააღმდეგს. კრებამ კურნალის წინადადება დაგვიანებულათ ცნო, რადგან „კომიტეტმა“ უკვე დაამთავრა თვისი მოქმედებაო.

შემდეგ კრებას მოხსენდა განცხადება „განყოფილების“ მდივნის ალ. ნანეიშვილისა. კრებამაც თქვა: რადგან ი.ი დიდი ხნის ნამსახურია, გაუშვათ „ოტსტავკაშიო“. ბოლოს შკოლის ახლანდელმა მზრუნველმა დავ. ბაქრაძემ განაცხადა, შკოლის ახლანდელი ხარჯთაღრიცხვის საქმე რევიზიას მოითხოვს და სა°ი კაცი აირჩიეთ, ამის შესასრულებლათო. კრებამ ამ საკანზედაც სჯა-ბამსი წევრების სიმცირის გამო მოუხერხებლათ ცნო და შემდეგისათვის გადასდო. ახლად მოსულ ცირკულიარის გამო ამ საკითხის გადაწყვეტაც საინტერესო იქნება და ვნახოთ როგორ დაიცავენ მას ამ შკოლის უფლე-

ბებზე მზრუნველნი... შემდეგი კრება 5 მარტისათვისაა დანიშნული.

ისი.

ᲯᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚ-ᲒᲐᲛᲡᲔᲡᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

(წერილი რედაქციის მიმართ).

ამ მიმდინარე წლის 13 თებერვალს მოწვეული იყო წლიურ კრებაზე ამხანაგები სოფ. ჯაგანის შემახვედ-გამსესხებელი ბანკისა ამავე სოფლის სასამართლოს შენობაში, სადაც დროებით მოთავსებულია მათი კასა. კრება გაიხსნა გრიგოლ ურტაძის თავმჯდომარეობით 1 საათზე; მას დაესწრო კანონიერ რიცხვზე ცოტა მეტი წევრები, რადგანაც გზები იმდენით წამხდარი იყო, რომ 3-4 ვერსიდან ქვეითათ მოსვლა ვერ მოეხერხებიათ (ცხენები კი კაი ხანია ქურდებმა გამოაცალეს ხელიდან ჯაგნელებს).

წლიურ კრებას უნდა გაერჩია შემდეგი კითხვები: ანგარიშის მიღება, გასესხება და სესხის მიღების სქმე, ჯამაგირის მომატება მმართველისა და მისი თანაშემწესათვის, თავისივე თხოვნით სამსახურიდან დათხოვნა ერთი მმართველი წევრისა და მის მოადგილის არჩევა, რამოდენიმე წევრების დათხოვნა ამხანაგობისაგან და სასურველია თუ არა სხვა საზოგადოების მცხოვრებთა მიღება წევრათ.

თავმჯდომარემ შემდეგ წინასიტყვაობისა წაუკითხა საზოგადოებას წლიური ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლითაც იგინი აცხადებენ; რომ ეოველივე ანგარიში და კასის მდგომარეობა რიგზეაო, რისთვისაც ჩვენგან მადლობის მეტი არაფელი არა ეთქმის მართველებსო. ანგარიში დამტკიცებულ იქმნა კრებისაგან. ანგარიშიდან ჩანს, რომ სალანგარიშო წელს მოუგია ეოველ მანეთს 12%, რაზედაც შედგა კამათი: ეს მოგებული ფული მიემატოს საწევრო ფულს, თუ დაურიგდეს წევრებსო. ადგ. ქაჯაიამ მოახსენა კრებას, რომ სასურველია ამ ფულით გამოვიწეროთ აბრეშუმის თესლი, რაც დიდ მოგებას მოგვცემს და ჩვენი უვიცობით აწი მაინც ნუ მოვტეუვდებით იმ ვაჟბატონებისაგან, რომლებსაც არა ერთხელ შემოუტეუებიათ უვარგისი თესლიო. ამას წინადადგა რამდენიმე წევრთაგანი, რომლებიც — როგორც შემდეგში აღმოჩდა — თავათ ეწევიან სოფლათ ამგვარ ოპერაციას. კრებამ მიიღო ბ. ქაჯაიას წინადადება, რომელსაც მხარი დაუჭირა თავმჯდომარემ, და თესლის გამოწერა მიანდო ვარმენ ქაჯაიას. ცალკა — ბოლოს ეკონომ-ეენეს კითხვა: სხვა საზოგადოების მცხოვრებნი მივიღოთ წევრათ, თუ არა? ამ კითხვაზე სხვათა შორის მართველმა მოახსენა კრებას: მე ვცნობ მათ მიდებას უხერხულათ, რადგანაც ჩვენ უმათოთაც ბევრი საქმეები გვაქვსო; კრებამ ამაზე, თითქმის, ერთხმათ მოახსენა: იყოს ნება თქვენი, თქვენ უფრო ბევრი იცით ამ საკანზეო. ჩვენ ამხანაგებს რა ენადგებათ, თუ სხვა საზოგადოების მცხოვრებთ, უფრო შორს დასჭირდებათ სიარული, მაგალითად, დ. სამტრედიაში, სადაც მათ სიახლოვეთ მიიღებენ!.. დათხოვნილ იქმნა ამხანაგობის წევრობიდან ის წევრებიც, რომლებსაც საწევრო ფული ვერ შეეტანა თავის დროზე. თავმჯდომარემ ამის შემდეგ მოახსენა კრებას, რომ ჯამაგირის მომატებას თხოულობს მართველი და ერთი მისი თანაშემწეო, რადგანაც წევრების მომატებით მათაც შრომა მოემატათო. ბევრი კამათის შემდეგ კრებამ მიუმატა მათ ოითო თუმანი და ამით კრებაც დასრულდებოდა, რომ ერთი წევრთაგანი არ წამოდგარიეო და არ მოეხსენებია: ბატონებო! თუ მართველს და მისს თანაშემწეს (ადგილობრივი ბურჯია) შრომა შეემატა წევრების მომატებით, მე ვფიქრობ, ამ მოგდენით არა მათზე ნაკლები შრომა მიემატებოდა იმ ორ მოსამსახურეს (დეეურნებს) ბანკისას, რომლებიც ვალდებულნი არიან აქაც ემსახურონ მართველებს უწეებებიც დაურიგონ წევრებს და კასასაც უკარაულონ. აგრეთვე ისიც ეურადღების დირსია, რომ მართველები ნივთიერათ უფრო უზრუნველეოფილი არიან ვიდრე მოსამსახურეებიო. ამ მართალმა და მიუდგომელმა სიტეყვებმა დიდი კამათი გამოიწვიეს საზოგადოებაში და ბოლოს, როგორც იქნა, მიუმატეს იმათაც ხუთ-ხუთი მანათი. ამით დასრულდა კრება ნაშუადღევის 4 საათზე.

დასკილი.

რედ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

მიიღება ხელის მოწერა 1903 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

ეოველ თვიური ქურნალი

„მოამბე"

(წელიწადი მეათე)

ფასი ეურნალისა:

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ:		ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲓ:	
ერთის წლით	10 მ.	ერთის წლით	13 მ.
ექვსის თვით	6 „	ექვსის თვით	7 „
სამის თვით	3 „	სამის თვით	5 „

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ"

ორის სურათებიანის დამატებით

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ:		ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲓ:	
ერთის წლით	6 მ.	ერთის წლით	9 მ.
ექვსის თვით	4 „	ექვსის თვით	5 „
ერთის თვით	75 კ.	ერთის თვით	90 კ.

ვინც „ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲡ" მთელის წლით გამოიწერს, „ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ" ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ უფასოდ გაეგზავნებათ, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელისმოწერისათანავე უნდა იქნეს შემოტანილი.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲖᲔ:

პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მ. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე 3 მ., 1-ლ აგვისტომდე—3 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 372**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и "Цнобисъ-Пурцели".

Дозволено цензурою, Тифлисъ 28 февраля 1903 г. სტამბა არ. ქუთათელაძისა, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.